№ 43

შაბათი, 2 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 43

შაბათი, 2 აპრილი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

განცხადება.

ძმ. თამამშევების ქარვასლის ვაჭრები

ამით საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ამა 1905 წ. 28 მარტიდან (გასულ ორშაბათიდან) **ვაჭრობა იწყება დილის რვა საათზე და თავდება საღამოს 6 საათზე**. ამასთანავე, დადგენილია **ყველასათვის სავალდებულოდ შემდეგი წეს-რიგი**: ვაჭრობა სწარმოებს ულაპარაკოდ, ფასის აუწევ დაუწევლად და, გარდა ამისა, აკრძალულია მუშტრების დაძახება-შეხმობა მაღაზიებში.

თუ ვინიცობაა ამ ყველასათვის სავალდებულო წესრიგს ვინმე დაარღვევს, უმორჩილესად ეთხოვთ პატივცემულ მუშტრებს, დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ თამამშევის ქარვასლის ვაჭრებს ბ-ნთ **ს. ი. ფორაქაშვილსა და ს. გ. ფარეშოვს**, რომელნიც არჩეულნი არიან ქარვასლის ვაჭართაგან. (5—1)

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

შაბათს, 2 აპრილს, სატახტო ქალაქების მსგავსი წარმოდგენა გაიმართება.

სხვათა შორის, ამ საღამოს **სამი ჭიდაობა** გაიმართება. ცნობილმა კავკასიელმა ფალავანმა **ვანო თარხნიშვილმა** სურვილი გამოაცხადა,— კავკასიელ საუკეთესო ფალავანს **ქობულაშვილს** დავეჭიდებიო, და თავის მხრით ჯილდოდ დანიშნა 25 მანათი. მეორედ იჭიდავებს ცნობილი კავკასიელი ფალავანი **ჯიბგირი** ცნობილ ფალავან **იოსებ ბაკორიანცთან**. ჯილდოდ ვერცხლის საათი. მესამედ იჭიდავებენ ჭიდაობის მოყვარულნი უჯილდოოდ. მესამე განყოფილების დასასრულ პირველად ტფილისში გაიმართება კომიკური პანტომიმა ,,ზანგთა ცხოვრება‘‘ და გაიმართება ამერიკული ცეკვა ,,კეკ-ვოკი‘‘. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 1—1

ქართული წარმოდგენა
(იაფ-ფასიანი)
არტისტიულ საზოგადოების თეატრში
ორშაბათს, 4 აპრილს 1905 წ.
ვალერიან გუნია გამართავს წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესა**
მეზობლები
თანამედროვე დრამა 4 მოქმ., ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძე, ნ. დავითიშვილი, ო. ლეჟავა; ბ-ნი: ვ. გუნია, გ. გედევანოვი, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი, საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია
შეგირდებისათვის კუპონები ლოჟებში 40 კაპ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის—8—9 საათ.
გ. ზ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩნაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი — 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიძოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. გ. აჭეტისიანცი. 11—12 საათამდე—ქალისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. ბძილიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. ბძილიშვილი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე კ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კრონჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

განცხადება.

რადგანაც თ-ვ. ქობულაშვილის სახლში დარბაზს შეკეთება სჭირდება, ამიტომ

თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

გადადებულია 4 დღით, სანამ შესაფერ ბინას იშოვნიდნენ. 1—6.—1

რა გამომჟღავნდა?

გუშინ-წინ თავად-აზნაურთა კომისიამ შეიმუშავა ხელმწიფისთვის წარსადგენი ადრესი, რომელშიაც გამოცხადებულია საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა. ამ ადრესმა გუშინდელ საგანგებო კრებაზე დიდი კამათი და შეტაკება გამოიწვია და ბევრი რამეც გამოამჟღავნა...

ადრესი შემდეგის შინაარსისაა:

ტფილისის გუბერნიის ქართველი თავად-აზნაურნი სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრის დაბადების შემდეგ პირველად შეკრიბნენ საგანგებო კრებაზე და თქვენს საიმპერატორო უდიდებულესობასა და ხელმწიფე დედოფლებს თავის უქვეშევრდომილეს მადლობას გიძღვნით უმაღლეს სახლისა და რუსეთის სახელმწიფოსთვის სასიხარულო ამბის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს, როგორც ბრძოლის ველზე, ისე შინაც, მძიმე ამბები აწვია, ქართველი თავად-აზნაურობა იმედით და მტკიცე რწმენით შეჰყურებს მომავალს და ხედავს რუსეთისთვის ბედნიერების ნიშანს იმაში, რომ ყრმა მემკვიდრის აკვანი ნათდება ახალ ცხოვრების განთიადით, რომელიც ტახტიდან 18 თებერვლის რესკრიპტმა აღნიშნა. ეს რესკრიპტი უბედურ ომისა და შინაურ უწესრიგობის დროს პირველი სხივი იყო ამ საგულისხმო ისტორიულ ხანაში, როცა მთელი რუსეთი შემოქმედ მუშაობისათვის არის მოწვეული. ქართველი თავად-აზნაურობა და მასთან ერთად მთელი ქართველი ერი, ერთგული დიდ რუსეთთან ძველთაგანვე ნაანდერძევ ერთობის, რომელიც განმტკიცებულია სამოქალაქო ცხოვრების განვითარებითა და ბრძოლის ველზე საერთო დროშის გულისთვის დანთხეულ სისხლითაც, რუსეთის ხალხთან ერთად არის მტკიცედ დარწმუნებული, რომ ახლა შორს აღარ არის ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში თავისუფლად არჩეული წარმომადგენლები, განურჩევლად ეროვნებისა, მოაწესრიგებენ რუსეთსა და მის განაპირა ადგილებს და სხვათა შორის, საქართველოსაც, რომელსაც შეადგენენ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის მხარე და სოხუმის და ზაქათალის ოლქები.

სახელმწიფოს საერთო სარგებლობა და საჭიროებანი აიძულებენ თავად-აზნაურობას გამოსთქვას თავისი რწმენა, რომ ქართველ ხალხის კულტურული განვითარება იქნება შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რომელმაც ნება-ყოფლობით შეუერთა თავისი ბედი რუსეთის ბედს, მიენიჭება უფლება, იქონიოს საკუთარი მართვა-გამგეობა და კანონები, წარმომადგენელთა ადგილობრივ კრებისაგან შემუშავებული და გამოცემული, და ამ კრებისათვის წარმომადგენლები საყოველთაო, პირდაპირის, საიდუმლო და ყველასათვის თანასწორ კენჭის ყრით თუ იქმნებიან ამორჩეულნი.

ქართველი თავად-აზნაურობა ყველა ამას მოახსენებს თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას და მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ამით ხელმწიფისა და სამშობლოს წინაშე თავის წმიდა მოვალეობას ასრულებს.

ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით ადრესის ფორმაზე და მასში ნახმარ ფრიად მორიდებულ სიტყვებზე. ყველაფერი დროსა და გარემოების მიხედვით უნდა გავსაჯოთ და ამიტომ ჩვენის თავად-აზნაურობისაგან, რომელიც მთელ საუკუნის განმავლობაში მორიდებისა და მორჩილების პოლიტიკას ადგა, ასე უცებ ნამეტან გაბედულობასა და სრულს გარდაქმნას ვერ მოვითხოვთ.

მიუხედავად ამისა, თავად-აზნაურობამ მაინც შესამჩნევი სიფხიზლე და ცნობიერება გამოიჩინა და ჩვენ კიდევ ერთხელ სიამოვნებითა და კმაყოფილებით აღვნიშნავთ ამ გარემოებას.

რასაკვირველია, გუშინდელ კრებაში იყვნენ ისეთი პირებიც, რომლებიც არ ემხრობოდნენ ავტონომიის იდეას და ათასნაირ ხრიკებს იგონებდნენ, რომ უმრავლესობისათვის ნამდვილ პატრიოტულ საქმეში ხელი შეეშალათ. ბ.ბ. ივ. ჯაბადარმა, მ. ე. მაჩაბელმა და გ. გაბაშვილმა ამ მხრით ძალიან იმეცადინეს და სწორედ უკვდავი სახელი მოიხვეჭეს. ამათ გამოილაშქრეს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ და კრებას ურჩევდნენ, ისეთი წეს-წყობილება მოითხოვეთ, სადაც ქართველი ხალხი, ვითარცა ერი, სამუდამოდ გათქვეფილი და გალესილი იქნებაო. საქმე იქამდის მივიდა, რომ ამ სამების ერთმა წევრმა ავტონომიის მოთხოვნა ბატონ-ყმობის შემოღების სურვილითაც კი ახსნა და თავად-აზნაურთა დემოკრატიულ ნაწილს ბატონ-ყმობის ტრფიალება დასწამა...

მაგრამ კრებამ ყურად არ იღო ქადაგებანი გახუნებულ რადიკალისა, არც ცხარე კამათი ესკულაპისა და აზვირთებული მრავალ-მეტყველება ქართველ ჩინოვნიკისა. მან დაამტკიცა თავისი ცნობიერება და ყველას ნათლად დაანახვა, რომ ამგვარ „პოლიტიკოსებს“ ჩვენში დღეს ნიადაგი აღარ აქვთ და სავსებით გარიყულნი არიან.

კრებამ 44 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 4-ისა ადრესი მიიღო და ამგვარად საყოველთაო, პირდაპირს, საიდუმლო და ყველასათვის თანასწორ საარჩევნო უფლებაზე დაფუძნებული ავტონომიური თვითმართველობა მოითხოვა.

დამარცხდა სამება და ამ სამების ერთადერთი მოწაფე! მხოლოდ 4 ხმა აღმოჩნდა საქართველოს ავტონომიის მოწინააღმდეგე.

ამ სახით კრების დიდძალმა უმრავლესობამ ეროვნულ-პოლიტიკური მომწიფება და გონიერება დაგვიმტკიცა.

ვაშა!..

ტფილისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

რადგანაც კრებას ბევრი გარეშე ხალხიც დაესწრო, თავმჯდომარემ სთხოვა კრებას, რომ ვისაც ამ კრებაში ხმა აქვს, ცალ მხარეს დასხდნენ.

თავმჯდ. თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი. გუშინ კერძო თათბირზე შეიმუშავებიათ ადრესის პროექტი. ვთხოვ, ვის ხელშიაც არის ეს ქაღალდი, გადმოგვცეს ჩვენ წასაკითხავად.

გენ. ჭილაშვილი. მე მინდა გავიგო, ყველას აქვს ამ კრებაში დასწრების ნება, თუ არა.

თავმჯდომარე უხსნის, რომ კრებაზე დასწრების ნება ყველასა აქვს; ხოლო არჩევნებისა და სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად კი ხმა აქვს იმ თავად-აზნაურს, რომელსაც აქვს სწავლისა ან ქონების ცენზი.

თავ. თაქთაქიშვილი. ვითხოვოთ, ყველას მიეცეს ნება ლაპარაკისაც და საქმის გადაწყვეტაშიაც ცენზებსა და ჩინებს ნუ ვუყურებთ.

კითხულობენ სათავად-აზნაურო კრებების წესდებას. გარეშე მაყურებლები თხოულობენ სიტყვის ნებას. თავმჯდომარე არ აძლევს. კრებაში მღელვარება და ხმაურობაა. ისმის ხმები: ხალხის სახელით არ შეგიძლიანთ რამე ითხოვოთო. თავმჯდომარე რამდენისამე წუთით სწყვეტს სხდომას. კრების გახსნამდე ექ. მ. გედევანიშვილი უხსნის საზოგადოებას, რომ, თუმცა არც ერთს დასს არა აქვს ნება ხალხის სახელით ილაპარაკოს, მაგრამ შეიძლება დაახლოვებით ვიცოდეთ, ხალხს რა ესაჭიროება, რა გააუმჯობესებს მის მდგომარეობასო. როდესაც ჩვენ გვექნება ბეჭდვითი სიტყვის, ყრილობისა, სიტყვის თავისუფლება, გვგონია, რომ ეს ხალხისთვის კარგი უნდა იყვეს. თავად-აზნაურობა თხოულობს, რომ ხალხის წარმომადგენლები იყვნენ არჩეულნი საყოველთაო, ფარული, პირდაპირი და თავისუფალი კენჭის ყრით. რად უნდა ვიყვეთ ამის წინააღმდეგი? დღეს კანონი ნებას აძლევს თავად-აზნაურობას ერთად შეკრებისას, თავიანთ გაჭირებების გამოთქმისას. მიეცით თქვენც ნება, გამოსთქვან თავიანთი აზრი და მოითხოვონ ის, რაც უნდათო.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. ხალხის სახელით ვინც რასმე ითხოვს, ის უნდა იცნობდეს ხალხს და იცოდეს მისი აზრი. ჩვენც სწორედ მაგას ვთხოულობთ, რომ მოგვეცეს ნება ხალხისა და მისი აზრების გაცნობისა. ყველა დასი, რა მიმართულებისაც უნდა იყვეს იგი, ერთ და იგივეს უნდა თხოულობდეს: მოგვეცით საშუალება, ხალხის სურვილი გავიგოთ.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ სხდომა განაგრძო, ზოგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ადრესი უნდა შეიცვალოს, ეხლა მონური თხოვნის დრო არ არისო.

კითხულობენ ხელმეორედ ადრესს, სადაც არც ერთი თხოვნის გამომხატველი სიტყვა არ არის მოხსენებული.

მ. ვ. მაჩაბელი თავის გრძელ სიტყვაში ამტკიცებს, რომ ავტონომიის მოთხოვნა ეწინააღმდეგება რუსის ხალხის სურვილსაო. ჩვენ და რუსის ხალხი ერთად ვიტანჯებოდით, ერთს ტაფაში ვიწოდით და ეხლა, როცა მოგვეცა ჩვენ ხმის ამაღლების ნება, ეხლა ჩვენ რუსის ხალხს ვეუბნებით: თქვენთან არავითარი ერთობა არ გვინდა, თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვის. ამას რუსის ხალხი არ მოგვიწონებს.

ექ. მ. გედევანიშვილმა გონიერ სიტყვაში ნათლად აუხსნა საზოგადოებას მნიშვნელობა ავტონომიისა, რამდენად სასარგებლო იქნება ეს როგორც ქართველის, ისე რუსის ხალხისათვის.

მ. გედევანიშვილის სიტყვებს საზოგადოება აღტაცებით მიეგება.

ივ. ჯაბადარი. ასი წლის წინად ქართველების ერთმა ჯგუფმა საქართველო გადასცა რუსეთს. ეს ჯგუფი არავის დაჰკითხებია, თავისით გადასწყვიტა, მოელაპარაკა რუსეთის მთავრობას და პირობაზედაც ხელი მოაწერა. დღესაც ამას **ვხედავთ**: შეყრილა ჯგუფი თავად-აზნაურობისა და თხოულობს ქართველ ერისთვის ავტონომიას. მე ავტონომისტი ვარ...

(ხალხში ყვირილი ასტყდა: ტყუილია! თქვენ ცენტრალისტი ხართ!.. თქვენ განაცხადეთ დეპუტატთა საკრებულოში, რომ ავტონომიის წინააღმდეგი ვარო და თქვენი თავი ცენტრალისტად აღიარეთ. სთხოვენ თავმჯდომარეს ამ გარემოების დამოწმებას. თავმჯდომარეც ამოწმებს).

ივ. ჯაბადარი განაგრძობს: საჭიროა ხალხს დავეკითხოთ. ყველა წოდების წარმომადგენლები შევკრიბოთ და მაშინ ავტონომია კი არა, ჩვენ შეგვიძლიან ჩვენთვის უნიაც მოვითხოვოთო...

ი. ჯაბადარს შემდეგ ილაპარაკა ბ-ნმა ი. რატიშვილმა, რომელმაც კრებას მოაგონა ხელ-შეკრულობა, დადებული ამ 100 წლის წინად რუსეთთან, და რომ ამ ხელშეკრულობის ძალით ქართველ ერს ავტონომიის უფლება აქვს.

უკანასკნელად სიტყვა სთქვა სტუდ. სულხანიშვილმა, რომელმაც ივ. ჯაბადარისა და მ. მაჩაბლის ,,აზრები‘‘ გაიმეორა.

ამას შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვის ნება აღარავის მისცა და კენჭის ყრას შეუდგნენ. ყუთი დაუდგეს იმ ადრესის პროექტს, რომელიც კომისიამ შეიმუშავა და რომელშიაც თავად-აზნაურობა ავტონომიას ითხოვს საქართველოსთვის.

ადრესი მიღებულ იქმნა 44 ხმით წინააღმდეგ 4 შავი კენჭისა.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

31 მარტი.

პეტერბურგი. ოფიციალური. სახელმწიფო საბჭოს წევრის გორემიკინის სახელობაზე 30 მარტის თარიღით გამოცემულ უმაღლეს რესკრიპტში ნათქვამია: „რუსეთის სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ფიქრის დროს უმთავრესს საზრუნავად რუსეთის მრავალრიცხოვან გლეხობის ცხოვრების გაუმჯობესება მიმაჩნია. ამ საგნის შესახებ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ რუსეთის მრავალ გუბერნიაში ამ წოდების ნივთიერი მდგომარეობა ძალზე შერყეულია. მიმაჩნია რა აუცილებელ საჭიროებად დაუყოვნებლივ გამოძებნილ იქმნას საშუალებანი ამ სამწუხარო მოვლენის თავიდან ასაცილებლად, სასარგებლოდ ვსთვლი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, იმ ცვლილებათა დამოუკიდებლად, რომელთა შემოსაღებადაც დღეს სამინისტრო იღვწის, უმთავრესი ყურადღება მიაქციოს გლეხების საადგილ-მამულო წესების განმტკიცებას, ვინაიდან ეს პირველი საფუძველია გლეხთა კეთილ-დღეობისა. ამიტომ თანახმად არს, აღინიშნოს ის პრაქტიკული ზომები, რომელიც განახორციელებს ამ კეთილ-განზრახვას, იმ აუცილებელ პირობით, რომ დაცულ იქმნეს კერძო მიწად-მფლობელობა ყოველგვარ შევიწროებისაგან. საჭიროა მიღებულ იქმნეს ზომები იმის შესახებ, რომ, სამეურნეო ცვლილებათა მიხედვით, გლეხებს შეეძლოთ ისარგებლონ თავის ნადელებით, ადგილ-მამულის სივიწროვისა გამო გლეხების ერთ ადგილიდან ამ საგნისთვის ნაჩვენებ ადგილში გადასახლების დროს ყოველი დახმარება და საშუალებანი მიეცეთ და საგლეხო ბანკების საშუალებით გლეხებს ხელი შეეწყოთ მიწადმფლობელობის გაფართოებაში. თანამდებ არს ვიზრუნოთ, რომ გლეხებისადმი მიზომილი ნადელები განსაზღვრულ იქმნას სხვათა მფლობელობისგან, რათა გლეხებში განვითარდეს გრძნობა ყოველისავე კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისა. გლეხთა მიწადმფლობელობის განსამტკიცებლად საკეთილოდ დავინახე დავავალო განსაკუთრებული საბჭო იმ პირთაგან, რომელთაც მე თვითონ ამოვირჩევ. მოგანდობთ რა თქვენ ამ საბჭოს თავმჯდომარეობას, იმედი მაქვს, მონდობილი თქვენდამი ფრიად საყურადღებო საქმე აღსრულებულ იქმნება ჩემის განზრახულების თანახმად და, რაც შეიძლება, ძალიან მალე“.

ბათუმი. უცხო ქვეყნის გაზეთების მიერ გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, რომ ვითომც მანთაშევის ქარხანა გაანადგურებინოთ, წყლის აუზანის რეზერვუარი დაანგრიოთ და ჯარს [illegible] შეტაკება მოსვლოდეს,—ტყუილია.

როსტოვი დონზე. საქველმოქმედო და საშუალო, სატეხნიკო და საკაზრო სასწავლებლებსა და ქალთა გიმნაზიაში სტიპენდიების დასაარსებლად კუპონების ამხანაგობამ სარგებლიან ქაღალდებით სახელმწიფო ბანკის კანტორაში 21,200 მანათი შეიტანა.

იმ დროს, როდესაც უბნის ზედამხედველი კომისაროვი საეჭვო კაცთა შეყრილობას აშორებდა, რევოლვერით მძიმედ იქმნა დაჭრილი.

როსტოვის ახლო საქონლის მატარებელს თავს დაესხა ათი შეიარაღებული კაცი.

ყაზანი. გეოლოგიის პროფესორი შტუკენბურგი გარდაიცვალა.

გროდნო. შეცდომის გასწორება: გიმნაზიის ეზოში ნაღმი კი არ გადაისროლეს, არამედ—სათამაშო ტორპედოს. ტორპედო აფეთქების დროს დიდი ხმა აქვს, მაგრამ უვნებელია.

ოდესსა, 31 მარტი. უცნობმა ახალგაზდამ ესროლა პოლიციის სამმართველოს მახლობლად ბოქაულს ოდშევსკის და დასჭრა იგი. მსროლელმა თავისი ვინაობა არ გამოაცხადა.

პეტერბურგი, 31 მარტი. შესდგა გამომძიებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კომისია ვიცე-ადმირალ დიკოვის თავმჯდომარეობით, შარშან 28 ივლისს მომხდარ საზღვაო ბრძოლის გამოსაკვლევად.—დაწესდა ადმინისტრაცია ვოლგა-კამის სანავთო და სავაჭრო ადმინისტრაციაზე. ვალი 1.157.875 მან., ქონება 962.246 მან.

სტოკჰოლმი, 31 მარტი. დღევანდელ საბჭოში მიღებულ იქმნა მინისტრ-პრეზიდენტის თხოვნა სამსახურიდან გასვლის შესახებ. დროებით მის მოადგილედ დაინიშნა სტატს-სეკრეტარი რემსტედი.

ლაგორი, 28 მარტი. მიწის ძვრამ დაანგრია დედაქალაქი მანდი. დაზიანდა აგრეთვე სულტანპურ. 1000 კაცამდე მოკვდა მიწის ძვრის გამო.

რეველი, 31 მარტი. ვიგანდის ქარხნის 4 განყოფილებაში გაიფიცნენ მუშები, სულ 1000 კაცამდის.

ფრანკფურტი მაინზე, 31 მარტი. გაზ. „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ იტყობინება 30 მარტის თარიღით სალონიკიდან, რომ ზაგორიჩში აჯანყებულ ბერძნების ძლიერ რაზმს მოუვიდა შეტაკება ბულგარელებთან. მოკლულია 30 ბულგარელი, ამდენივე დატუსაღეს. საშველად წასული ბულგარელთა მეორე რაზმიც დამარცხდა.

სოფია, 31 მარტი. მინისტრ-პრეზიდენტი რომიდან სოფიაში დაბრუნდა. აქაური სტუდენტები, უმთავრესად სოციალისტები, დემონსტრაციებს ახდენენ ახალ საუნივერსიტეტო წესდების საწინააღმდეგოდ, ვინაიდან ამ წესდებაში მეტად შეზღუდულია უნივერსიტეტის თავისუფლება. წუხელის სტუდენტებმა სცადეს დაექციათ „ვეჩერნაია პოჩტას“ რედაქცია, რომელიც ამხედრდა სტუდენტების საწინააღმდეგოდ. დღეს სტუდენტებმა ობსტრუქციით ხელი შეუშალეს ლექციების წაკითხვას. ქუჩებში სტუდენტები მანიფესტაციებს ახდენენ. „ვეჩერნაია პოჩტას“ ცალკე ნომრებიც დასწვეს საჯაროდ.

პარიზი, 31 მარტი. გაზეთები თანაგრძნობით იხსენიებენ დღეს გარდაცვალებულ ლაბულეს, რომელიც წინად პეტერბურგში საფრანგეთის ელჩად ყოფილა და საფრანგეთ-რუსეთის კავშირის ერთი უმთავრესი ინიციატორთაგანი ყოფილა.

რომი, 31 მარტი. გუშინ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაათვალიერა სასწავლებლის შენობა და ინახულა ავადმყოფი, აფეთქების დროს დაჭრილი. ქალთა გიმნაზიის პედაგოგიურმა რჩევამ მშობლებთან ერთად თითქმის ერთხმად გამოსთქვა სურვილი, რომ წესის დარღვევისათვის სასტიკი სასჯელი იქმნას შემოღებული. გიმნაზიის აფეთქებისაგან დასაცველად მოუმატეს მოსამსახურეთა რაოდენობას.

ერევანი, 31 მარტი. საბჭომ ერთხმად მიიღო მინისტრთა საბჭოში წარსადგენად მოხსენება, რომლის 28 მუხლში ჩამოთვლილია სხვადასხვა საზოგადო და ადგილობრივი საჭიროება.

ვარშავა, 31 მარტი. გენერალ-გუბერნატორი მაქსიმოვიჩი დაჰპირდა გლეხებს, სათითაოდ გადავსინჯავ ყველა საქმეს პოლონურ ენის ხმარების შესახებო.

ვიტებსკი, 31 მარტი. მრეწველთა კრებაში, რომელშიაც იღებდნენ მონაწილეობას მუშებისაგან არჩეული პირებიც, ითათბირეს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და გამოსთქვეს სურვილი, რომ იქმნას შემოღებული 10 საათის სამუშაო დღე, რომ მუშებს სახელმწიფო ხარჯით ჰქონდეს საექიმო დახმარება, რომ დაარსდეს დამხმარებელი კასსები, ნება-დართულ იქმნას გაფიცვა და სხვადასხვა ნაირი ორგანიზაცია მუშათა კულტურულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მარსელი. რიგიდან მომავალი რუსეთის სამაფრიანი გემი „ბრენნუს“ ი ფარამანის ქვებს დაეჯახა და დაიღუპა. ხალხი გადაარჩინეს.

პარიზი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს ჟორესი დელკასეს მაროკოს საქმეთა გამო ახსნა-განმარტებას მოსთხოვს.

რომი. გუშინ მეფე ეტლით ბულგარიის მთავართან მივიდა და მერე ორთავემ ქალაქში ხანგრძლივ ისეირნეს.

ვარშავა, 31 მარტი. 23 მარტს სამხედრო სასამართლომ გარჩია საქმე გლეხის ანტონ პილიაშეკისა და იან ზაკრჟევსკისა. პილიაშეკს გოროდოვოის ლინკოს ცემა ბრალდებოდა, იმ აზრით, რომ მისთვის წაერთმია რევოლვერი და ხმალი. ზაკრჟევსკს კი უბნის ზედამხედველის პავლოვისა, რომელსაც ორჯერ ესროლა, მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა. პილიაშეკს სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, მაგრამ არ დათანხმდა და საქმე გაასაჩივრა. ზაკრჟევსკს 12 წლის კატორღა მიუსაჯეს.

ვენა, იმპერატორმა მიიღო საგენერალო შტაბის უფროსი ბეკი. ბეკი იმპერატორთან მთელ საათს დარჩა. უნგრეთის კრიზისის თავიდან ასაცილებლად იმპერატორი სამხედრო სხვა მოღვაწეებსაც მიიღებს.

მოსკოვი. დიდის მთავრის მკვლელის ივანე კოლიაევის საქმის გარჩევაზე დასასწრებლად დედა მისი ჩამოვიდა.—ხალხის ჯანმრთელობაზე მზრუნავი კომისია სთხოვს საბჭოს, უყურადღებოდ დასტოვოს სააფთიაქო წესდების პროექტი, როგორც პრივილეგიის პრინციპზე დამყარებული.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

31 მარტი.

საიგონი- საფრანგეთის კრეისერი ,,დეკარტი‘‘ და ხუთი ნაღმოსანი ქაკის კონცხის მახლობლად იმყოფება საფრანგეთის წყლებზე ნეიტრალიტეტის დასაცველად. კანონერები ,,ახერონი‘‘ და ,,სტიკსი‘‘ ზღვაში გავლენ. კოხინხინის ნაპირებთან მიმოდიან იაპონიის გემები. ამ გემებს აზრადა აქვთ რუსებს ხელი შეუშალონ ნახშირისა და სანოვაგის შეძენაში და თვალ-ყური ადევნონ რუსეთის ესკადრის გზა-კვალს.

ლონდონი. ამბობენ: ის გარემოება, რომ როჟესტვენსკის ესკადრა ნატუნის კუნძულებთან გაჩნდა, იმას იტკიცებს, რომ როჟესტვენსკის საიგონში მისვლა არ განუზრახავსო. ჰფიქრობენ, რუსეთის ესკადრა ჩინეთის ზღვით ჩრდილოეთისკენ წავაო.

ნიუ-იორკი. ადმირალმა დიუიმ ის აზრი გამოსთქვა, რომ, თუ ვინიცობაა ტოგო დამარცხდა, ომის საქმეც დაბოლოვდება. რუსები იაპონიის ჯარს სამშობლოს მოსწყვეტენ და ამით სულ მთლად დაასუსტებენო.

ამსტერდამი, 31 მარტი. ამსტერდამის სააგენტო „ხანდელსბანდი“ ბატავიიდან იტყობინება, ანამბას კუნძულებთან მომხდარ საზღვაო ბრძოლის შესახებ გავრცელებული ხმა არ მართლდებაო.

პარიზი, 31 მარტი. „მატენის“ კორესპონდენტი იტყობინება, რუსების ჯარს მანჯურიაში მაშველი ჯარი მიუვიდაო, თვით ჯარი მოსვენებულია და საომრად მზად არისო.

ვაშინგტონი, 31 მარტი. სახელმწიფო დეპარტამენტისაგან გამოქვეყნებული მიწერ-მოწერა მოწმობს, რომ იაპონიამ 1904 წ. 24 იანვარს ამერიკის ელჩს შეატყობინა, საომარი მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ ომის გამოცხადებამდის არ დაიწყებაო. იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ომის გამოცხადებამდის რუსეთის საწინააღმდეგოდ საომარ მოქმედებას არ დავიწყებთო და ომსაც არ გამოვაცხადებთ, სანამ რუსეთის საელჩო იაპონიიდან არ წავაო.

ჰონკონგი (საკუთარ კორესპონდენტისაგან). ინგლისის კრეისერმა „იფიგენიამ“ უმავთულო ტელეგრაფით აქაურ სამხედრო უფროსებს შეატყობინა, რომ გზაში, საიგონის სამხრეთით, ასე დაახლოვებით 140 მილის მანძილზე, რუსეთის 42 გემი შემხვდაო. გემები ჩრდილოეთისკენ მიდიოდნენო.

ჰონკონგი (საკუთარ კორესპონდენტისაგან). 29 მარტს ღამით როშეს კონცხის მახლობლად იაპონიის ორმა კრეისერმა გაიარა. კრეისერებს სანთლები ჩაქრობილი ჰქონდათ და სამხრეთისაკენ მიდიოდნენ.

ლონდონი. სინგაპურიდან მოსული დეპეშა იუწყება, რომ ორშაბათს გემ «ნუბის» ზღვაში რუსეთის 42 გემი უნახავს. ეს გემები 8—10 მილის სისწრაფით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიდიოდნენ. ის ადგილი, სადაც „ნუბის“ რუსების ესკადრა უნახავს, ნატუნის კუნძულებიდან ჩრდილოეთით 400 მილის სიშორეზეა.

ხარბინი. აქ მოსული გუჩკოვი ამოწმებს, რომ იაპონელები ძალიან კარგად ეპყრობოდნენ მუკდენში დარჩენილ ჩვენს საექიმო კრებულს და დაჭრილებზედაც დიდად ზრუნავდნენო. მუკდენიდან ჯარის გამოსვლის დროს იქ იყო 460 დაჭრილი რუსი და 406—იაპონელი. რუსების დაჭრილთა შემდეგ 1700 ავადმყ. ერთი ნაწილი დაჭრილ რუსებისა სამხრეთისკენ გაგზავნეს, რადგანაც ჰრილობათა შესახვევი მასალა არა ჰყოფნიდათო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

—

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. გუშინდელი ცნობა ბატავიიდან, ვითომ ზღვაზე ბრძოლა დაწყებულიყო, არ გამართლდა. საზღვაო საქმის მცოდნენი ამბობენ, შეიძლება დღეს თუ ხვალ ბრძოლა მოხდესო, მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ ადმირალი ტოგო როჟესტვენსკის ერთი კვირის შემდეგ შეებმება, ე. ი. მაშინ, როცა როჟესტვენსკი კუნძულ ფორმოზას მიუახლოვდება.

ლონდონიდან იუწყებიან, ადმირალი როჟესტვენსკი საიგონში არ შეივლისო. ეს იქიდან სჩანს, რომ სამიოდე დღის წინად როჟესტვენსკის ესკადრა ნატუნის კუნძულებთან უნახავთ. ნატუნის კუნძულები საიგონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობენ და საიგონში მიმავალი გემები ამ ადგილს არ უნდა მოხვდნენ (რ.).

მანჯურიაში. აქაც სიწყნარეა, მხოლოდ რუსებისა და იაპონელთა მოწინავე რაზმები ადგილებს ზვერავენ და მომავალ ბრძოლისთვის ემზადებიან. როგორც ეტყობა, ბრძოლა მალე უნდა მოხდეს.

„კენიგს. ცეიტუნგ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: აქ ცნობა მოვიდა, რომ გენ. ლინევიჩმა ხარბინში მცხოვრებ უცხოელებს ურჩია, ხარბინს თავი დაანებეთ და ციმბირში გადასახლდით, თორემ მერე ველარ მოასწრობთო. აქედან სჩანს, რომ ამ ახლო ხანს ბრძოლა უნდა მოხდეს. ისიც საგულისხმოა, რომ ლინევიჩს ხარბინის დაცვის იმედი არა აქვს, თორემ რატომ მარშალი ოიამა არ ურჩევს მუკდენსა და ლიაოიანში მცხოვრებ უცხოელებს, მანდედან წადით და თავს უშველეთო (ბ. ი).

პარიზიდან „ბირ. ვედ.“-ს დეპეშით ატყობინებენ: ტოკიოდან 25 მარტის თარიღით გვაუწყებენ: აქ დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ცოტა ხანში მარშალ ოიამას ტოკიოდან ბრძანება მოუვა რუსებზე საერთო იერიშის მიტანის შესახებ. შეუძლებელია, რომ სუნგარის სამხრეთით რუსებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ იაპონელებს, რადგან, თუ რუსებმა მართლა გაბედეს და უკან დახევა არ მოინდომეს, იაპონელები ერთ-ერთ მხრიდან მოუვლიან და წრეს შემოავლებენ. მარშალ ოიამას უნდა, რომ ლინევიჩმა იმის ცენტრისკენ გამოილაშქროს და ამიტომ წინდაწინვე საქმეს ისე აწყობს, რომ ლინევიჩმა უცებ კი არ დაიხიოს უკან, არამედ იაპონელებს წინააღმდეგობა გაუწიოს და ამით მარშალ ოიამას დრო და შეძლება მისცეს გვერდიდან მოვლისა (ნ. დ.).

ჯერჯერობით იაპონელები ისევ ძველებურ ხერხს ხმარობენ: ბრძოლის დაწყებამდე უკან იხევენ, რუსებს ემალებიან, იქ დააწყობენ თავიანთ რაზმებს და მერე უცებ წინ იწევენ. ამით იაპონელები ყოველთვის ატყუებდნენ რუსებს და არ აგებინებდნენ, რომელ ფრთაზე რამდენი ჯარი ჰყავთ და საიდან აპირობენ უმთავრეს იერიშის მიტანას. იაპონელებიც ეხლაც ასე იქცევიან. გუნჟულინიდან „ნოვ. ვრ.“ას კორესპონდენტი ოლგინსკი დეპ. იუწყება: ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. იაპონელები თითქმის არსად სჩანან, სადღაც გადიკარგნენ. ეს საზარელი სიჩუმე, უეჭველია, გრიგალს მოასწავებს. ჩვენმა ჯარმა მუკდენიდან გუნჟულინამდე 220 ვერსი გაიარა, შედგა და ეხლა ისვენებს და რიგზე მოდის (ნ. ვ.).

მუკდენის ბრძოლის ისტორიიდან. ,,ნოვ. ვრ.‘‘-ას კორესპონდენტი ლოდიჟენსკი ხარბინიდან იუწყება: მუკდენის ბრძოლის დროს დატყვევებული ექიმები დაბრუნდნენ და შემდეგი მიამბეს: ჩვენი ჯარის არიერგარდმა მუკდენს შუადღისას მიანება თავი, მაგრამ იაპონელებმა უყელეს და ყველანი დაატყვევეს, მათ შორის გენერალი განენფელდიც. იაპონელთა პირველმა რაზმმა მუკდენი 4 საათზე დაიჭირა. დანარჩენმა ჯარმა მუკდენს გვერდი აუქცია და საჩქაროდ რუსებს დაედევნა. იაპონიის ჯარს დაღალულობა და [illegible] სულაც არ ეტყობოდა, პირიქით, მთელი ჯარი მხიარული, გახარებული და ყოჩაღად იყო. არც მთვრალები ერივნენ, არც ჩამორჩენილნი იყვნენ. ყველას კარგად, წმინდად და კოხტად ეცვა. გენ. ნოძუმ, ნოგიმ, ოკუმა და კუროკიმ ადიუტანტები გამოგზავნეს და ჩვენს ექიმებს დაჭრილ იაპონელთა მოვლისათვის მადლობა გადაუხადეს. იაპონელი აფიცრები თავიანთ სალდათებს ძმურად, მეგობრულად, სულ უბრალოდ ექცევიან და სადილსაც იმათთან ერთად სჭამენ. საკვირველი ის არის, რომ იაპონელი სალდათები თავიანთ აფიცრებს მოსვენებას არ აძლევენ, ელაპარაკებიან, ეკითხებიან და ყველაფრის ცოდნა უნდათ. აფიცრებიც უარს არ ეუბნებიან და ყველაფერს დაწვრილებით უხსნიან. მარშალი ოიამაც ვნახეთ. უბრალო და ბუნებრივი ქცევა აქვს, გვიღიმოდა და ყველას თავს გვიკრავდა. თან მხოლოდ ხუთი ჟანდარმი და სამი აფიცერი ახლდა. როცა გამოიარა, არც აურ-ზაური ატყდა და არც აყალმაყალი. მარშალი ოკუ, რომელმაც მუკდენი აიღო, საავადმყოფოში არ მოსულა, რადგან რუსების სადევნელად მიეჩქარებოდა. თავის შტაბის უფროსი, გენერალი ოსეკო გამოგზავნა და იმას პირით მადლობა გადაგვიხადა. იაპონელების ზარალი 60 ათასამდეა. რუსებისა, იაპონელების სიტყვით—150 ათასია. ტყვებიც, რომ ვიანგარიშოთ—70 ათასი—220 ათასი იქნება. მარტო მუკდენის მიდამოებში იაპონელებმა 20 ათასი მოკლული რუსი დამარხეს. მუკდენს გვერდიდან გენ. ნოგიმა და ნიშიმ მოუარეს. გენ. ნიშის ცალკე ლაშქარი აბარია. 15 მარტს იაპონელებმა შეგვაგროვეს და ჩვენებთან გამოგვაცილეს. როცა ჩვენებს მოვუახლოვდით, ყაზახებმა თოფი დაგვიშინეს. წინ ჩვენი აფიცერი მიგვიძღოდა, ხელში წითელი ჯვრის დროშა ეჭირა, მაგრამ ყაზახებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და სროლა დაგვიწყეს. პირველი ტყვია ჩვენს აფიცერს მოხვდა. აფიცერი ცხენიდან გადმოვარდა და დროშაც ხელიდან გაუვარდა. დროშას იაპონელი აფიცერი, პორუჩიკი ნაკაზავა ეცა, მაღლა აიღო და პირდაპირ ყაზახებისაკენ გააჭენა ცხენი. ჩვენც უკან გავყევით და ძლივს-ძლივობით სროლა შევაჩერებინეთ (ნ. ვ.).

რამდენი ჯარი ჰყავდა გენ. ნოგის მუკდენის ბრძოლის დროს. გენ. ნოგიმ მუკდენს დასავლეთიდან მოუარა, ოთხი დღის ბრძოლის შემდეგ თვითონ გენ. კუროპატკინი დაამარცხა და მუკდენი აიღო. სხვადასხვა გაზეთების სამხედრო მიმომხილველების აზრით, გენ. ნოგის ჰყავდა 7 დივიზია, ანუ 120 ათასი კაცი. გენ. კუროპატკინ ჰყავდა ოთხი კორპუსი—120 ათასი კაცი. ეხლა ირკვევა, რომ კუროპატკინს მართლა იმდენი ჯარი ჰყავდა, რამდენსაც ამბობდნენ, გენ. ნოგის კი გაცილებით ნაკლები. ,,ნოვ. ვრ.‘‘-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი ხარბინიდან იუწყება: როგორც გამოირკვა, გენ. ნოგისა და ნიშის საერთოდ ჰყავდათ 50 ათასი ქვეითა სალდათი და ათიათასი ცხენოსანი და არტილერისტი. სულ—60 ათასი კაცი (ნ. ვ.).

იაპონიის სესხი. ,,ნოვ. ვრ.‘‘-ს ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ: იაპონიამ უკანასკნელ დროს ორი სესხი [illegible]: შინაური და საგარეო, მაგრამ სესხის გამცემი იმდენი აღმოჩნდა, რომ ამათ დასაკმაყოფილებლად იაპონია ახალ სესხის გამოცემას აპირობს; ლონდონის უდიდესი კაპიტალისტები ამბობენ, იაპონიის სესხს ასეთი დიდი გასავალი იმიტომ აქვს, რომ ინგლისი-

ფელეტონი

გზა-და-გზა.

—

ამართული ფერდობები შეადგენდნენ გზას იმ სახლისკენ, სადაც მე უნდა ჩამოვმხტარიყავი. ეს ფერდობები, ტყით ოდესღაც დაფარულნი, ეძლეოდათ იჯარით თამბაქოს გამშენებელ სომხებს ან ბერძნებს, რომლებიც სამი-ოთხი წლის შემდეგ ანებებენ თავს, რაკი მიწას სინოყივრე ეცლება, თამბაქოს მოსაყვანად აღარ ვარგა, და მას აძლევენ მეგრელებს იჯარითვე, რომლებსაც მოჰყავთ მაზედ სიმინდი.

თიხიანი, ალაგ-ალაგ მთლად ქვიშიანი ნიადაგი, მთელი დღე და წინა ღამე წვიმისაგან გაჟღენთილი, მთლად ტალახად ქცეულიყო, ისე რომ კაცი ფეხს ძლივს ადგამდა, ნება-უნებურად იფლოდა შიგ. ამ ყოფა-ვაებაში ჩავარდნილმა გავიარე ორ ვერსამდე ამნაირ გზაზედ.

მაგრამ კიდევ კარგი, რომ ცოცხალი მიეედი სამშვიდობოს. დაბალ-დაბალი მოხუცი დედაკაცი გამომეგება კარში და, რომ დაეუსახელე კაცი, რომელმაც მიმასწავლა მასთან, მისმა სახემ, თითქო გაანათაო, ისეთი სიხარული დაეტყო.

ამრიგად მივაღწიე წებელდას.

ის ადგილი, სადაც მე ჩამოვხტი, ქ-ნი ვორონოვის „დაჩა“, როგორც ეძახიან მას, წარმოადგენს რამდენსამე ფერდობს. თითქმის მთელი წებელდის მიწები შეადგენს საკუთრებას ათორმეტ მემამულისას, რომელსაც უმაღლესათა აქვს ნაბოძები სამოცდაათიან წლებში, სამხედრო სამსახურის [illegible], ჩინისა და დამსახურების კვალად. თითო მათგანს ებოძათ ას დესეტინიდან დაწყებული ვიდრე ათას-ხუთასამდე. ამ ადგილებზედ უწინ აფხაზები ცხოვრობდნენ თავიანთ საკუთარ მიწა-წყალზედ. სამოციან წლებში რომ ამბოხება იყო აქ, აქაური—წებელდოელი აფხაზები, როგორც ერთი კაცი, ამხედრდნენ და თავზარი დასცეს რუსის ჯარს, რომელიც წებელდაში შემოვიდა მათ დასამშვიდებლად. მას წინ გადაეღობნენ აფხაზები და მთლად ამოჟლიტეს ისინი. აქ ახლო ადგილას აჩვენებენ ევრედ-წოდებულს „братская могила“-ს,—ის ადგილი, სადაც ამოჟლეტილი ჯარის კაცები მარხია.

ამ გარემოებამ გამოიწვია მთავრობის-მიერ სასტიკ ზომების მიღება, თუმცა უამისოდაც არ აკლდათ მცხოვრებთ ასეთი ბედნიერება. ბოლოს ველარ შესძლეს ამნაირი ქცევის ატანა აფხაზებმა და იძულებულნი შეიქნენ მოენახათ სხვა საცხოვრებელი ადგილი და იმათაც მიჰმართეს ოსმალეთს.

ყველა მემამულე რუსია. ზოგმა მათგანმა გაჰყიდა თავისი მამული, ზოგმა მოურავს გადასცა, ზოგშიც თვითონ ცხოვრობს. მიწა იჯარით ეძლევა ბერძნებს, სომხებს თამბაქოს გასაშენებლად, ხოლო მეგრელებს—თამბაქოს გაშენების შემდეგ სიმინდის მოსაყვანად. დესეტინა მიწა ტყიანი, გაუწმენდავი, როგორიც არის საჭირო თამბაქოს მოსაყვანად, იძლევა იჯარით 20 მანეთიდან დაწყებული ვიდრე 30 მდის. სასიმინდედ კი 15-იდან 25-მდე.

მოსახლეობენ აქ ქართველები (თითქმის ყველანი მეგრელები არიან), სომხები, ბერძნები ოსმალეთის ქვეშევრდომნი და იქიდან გადმოსახლებულნი თამბაქოს გასაშენებლად, რუსები, დასახლებულნი სახელმწიფო მიწებზედ.

გადმოსახლება სომხებისა და ბერძნებისა ამ მხარეში დაწყებულა ჯერ კიდევ მესამოცდაათიან წლებში; მოსულნი მაშინ აქ თავისი ნებით სომხები მთავრობას სიამოვნებით მიუღია, მოუზომნია მათთვის მიწები და მიუცია ნება კეთილად ცხოვრებისა; ასევე მოჰქცევიან ბერძნებს. ასეთი გადმოსახლებულები მიუღია რუსის მთავრობას თავის ქვეშევრდომობის ქვეშ. 1895 წლიდან სომხებმა იწყეს აქეთკენ ძლიერი დენა. სომხები მოდიან აქ მარტოოდენ ადგილების იჯარით ასაღებად და თამბაქოს მოსაშენებლად, ისინი ითვლებიან ოსმალეთის ქვეშევრდომებად. მაშასადამე, აქ [illegible] სახელმწიფოში არავითარ გადასახადს არ იხდიან. ამისთანავე პირობებში არიან ის ბერძნები, რომლებიც იჯარით იღებენ მიწებს თამბაქოს მოსაშენებლად.

ვიყავი ერთი-ორი ბერძნის სახლში. უსუფთაო, აქა-იქ ჩამონგრეული, ჩამპალი ხის ფიცხა შეადგენს მათ საცხოვრებელს. შიგნით რომ შევედი, დავინახე პატარა ოთახი, სამხრივ კედლებთან მიდგმული განიერი ტახტები, შუაში რკინის „ფეჩი“ თავისი მუდმივი ბოლვით, კედლები მთლად შემურულები, ღია სხვენი, სადაც ელაგა დიდრონი შავი პურები ობ-მოკიდებული, რამდენიმე ტარო გამხმარი სიმინდისა, რაღაცა ძველი ნივთები—აი მთელი შინაარსი მათი ოთახისა.

აქაური ცხოვრებისა ისინი კმაყოფილები არიან, თუმცა დიდი ნდომა აქვთ დაბრუნებისა სამშობლოში.

— მერე რატომ არ ბრუნდები შინ, თუ მაგრე მოგწონს?—შევეკითხე მე.

— იმიტომ რომ იქ თამბაქოს გაშენება ძნელია, მიწის სიცოტავისა და მოხელეების თავგასულობის გამო. მაგალითად, გაქვს ერთი დესეტინა მიწა, რომელზედაც მოდის ათი ფუთი თამბაქო. მოდის აქციზის მოხელე და თავის ვარაუდსა სწევს—ჰგონია აქ ათი კი არა, ოცდაათი ფუთი მოვაო და ოცდაათის ბაჟს ახდევინებს

— განა აქ კი არ არის მაგისთანა და უფრო მაგაზედ უარესი მოვლენები?

— მე აქ არავისთან საქმე არა მაქვს, მე აქ ხომ არაფერს ვიხდი.

კიდეც იმიტომ არის კმაყოფილი აქ ცხოვრებისა.

— თუ აქ კმაყოფილი ხარ და იქ ეგრე გაწუხებენ, რაღად გინდა იქ წასვლა?

ამ ჩემ კითხვას მგონი არ მოელოდა, მაგრამ მაინც თამამად მიპასუხა.

— იქ ნათესავები მყავანან.

— ძალიან კარგი, მერე ნათესავები ხომ ვერ შეგინახავენ, რითი იცხოვრებ!

— რითი და, ჯერ ერთი, ვიმედოვნებთ, რომ აქაურ ნაშრომისაგან დაგვრჩეს რამე, მეორეც, იქ მიწები გვაქვს, სადაც ხილი, ყანა მოგვყავს.

როგორღაც სხვანაირად უნდა იყოს აქ საქმე. ბერძენმა ნამდვილი მიზეზი აქაური კმაყოფილებისა და სამშობლოში მისწრაფებისა არ გამიმჟღავნა. პოლიტიკურად ეჭირა თავი, რას იზამ, დრო აჩვევს ორნაირად ლაპარაკს!

თითქმის ასეთივე აზრისანი არიან სომხებიც: მათ სურვილი კი აქვთ დაბრუნებისა ოსმალეთში, მაგრამ სომეხს ის უშლის, რომ მას ნებას არ აძლევს ოსმალეთის მთავრობა დაბრუნდეს უკან თავის სამშობლოში. ყოფილა ისეთი მაგალითებიც, რომ გაქცეულნი ოსმალეთში დაუბრუნებიათ უკან და გადაუციათ რუსეთის მთავრობისთვის.

— როგორ გეპყრობათ პოლიცია-მეთქი?—ვკითხე ერთ მეგრელს.

— როგორ, ბატონო-და, არც როგორ. ხარჯს ქე გვახდევინებს და სამაგიეროს რას იძლევა? არაფერს. ამას წინეთ ერთს სახლი დაუწვა ვინცხამ ჯავრის ამოსაყრელად. მიჰმართეს ,,ნაჩალნიკს‘‘. მან, იმის მაგივრათ, რომ მოეძებნა დამნაშავე, შემდეგის განჩინებით მიჰმართა: თქვენ აქ რას მოდიხართ ჩემთან, წადით და მიმართეთ მათ ვინც თქვენ ,,გაბუნტებთ‘‘, ისინი გიპოვნიან და გიზღავენ დანაკლისს!—და მართლაც თითქო მისი სიტყვების გასამართლებლად იმ ცოტა ხანში მოეიდნენ ვიღაცა უცხო კაცები. იკითხეს, რამდენი ზარალი მოგივიდათო, შეიტყეს დაწვრილებით და უკანვე წავიდნენ. არ ვიცი, მისცეს რამე თუ არა.

გურულები და მეგრელები აქ ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. შევიწროვებულნი მიწის იჯარის ფულით, სხვადასხვა გადასახადებით, ხარჯებით და სხვა.

მიწის იჯარას,—ფულის გარდა,—იხდიან და უმეტესობაც მოსავლის მეოთხედით, ე. ი. მოიყვანა გლეხმა სიმინდი, მისი მეოთხედი პატრონს ეკუთვნის. მაგრამ ამ მეოთხედთან შესისხლ-ხორცებულია შემდეგი პროცესი. მოიჯარადრემ უნდა მეოთხედი მთელი მოსავლისა დაამტეროს, დაფშვნიტოს და დააგროვოს ერთ ალაგას, ხელი არ შეახოს იმ დრომდე, ვიდრე მემამულე ან მისი მოურავი არ მოისურვებს მობრძანებას სოფელში (ხშირი მოვლენაა, რომ მოურავი იანვარში მობრძანდება ხოლმე, მაშასადამე, სიმინდი მანამდის მშიერი გლეხის-მიერ მოუხმარებელი უნდა იყოს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში პირობა დაირღვევა და მით მოურავს ხელშეკრულობის ძალით ექნება ნება გადაასახლოს გლეხები). ვთქვათ გამოცხადდა მოურავი, გაიყო, ბრძანა, ხვალისთვის ეს ჩემი წილი მიმიტანეთ სასიმინდეში და ჩამიყარეთო,—გლეხი იძულებულია იქირაოს ურემი, მუშა, ან თვით მოსცდეს სამუშაოს და აუსრულოს წადილი მოურავს.

ი. ხ.

დღევანდელი სკოლა

(ხმა მოსწავლისა)

მოსწავლედ ვიყავი ერთ-ერთ საშუალო სასწავლებელში.. მაგრამ ამას წინად მე და ჩემთან ერთად რამდენიმე მოსწავლემ მივატოვეთ ეხლანდელი სასწავლებელი. მივატოვეთ იმიტომ, რომ ვერ შევსძელით დღევანდელ პირობებში სწავლის გაგრძელება!..

ბევრს ვითმენდით, ჩუმად ვიყავით, რადგან გვეგონა, მხოლოდ ასე შეიძლებოდა სწავლის მიღება. მაგრამ, როდესაც მივაღწიეთ უფროს კლასს, როდესაც გაგვეღვიძა თვით-ცნობიერების და თვით-მოქმედების გრძნობა,—ნათლად დავინახეთ, რომ ეხლანდელი სასწავლებელი, იმის მაგიერ, რომ განათლებული და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანები გამოგვიყვანოს, გვაჩლუნგებს და გვხდის საზოგადოებისათვის გამოუსადეგარ, მავნე კაცებად.

განა შეიძლება სწავლის გაგრძელება ეხლანდელ სასწავლებელში, სადაც დიდი ბიუროკრატიული რეჟიმი სუფევს და სადაც ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზებია პიროვნების განვითარებისათვის? იქ ჩვენ არ გვაინტერესებდა ზოგიერთი საგნები და ძალად გვასწავლიდნენ; თუ გვაინტერესებდა რომელიმე,—არ ვარგოდა სახელმძღვანელო წიგნი, რომელშიაც უნდა გვესწავლა „გაკვეთილები“, რადგან სულ სხვა მიზნით იყო შედგენილი.. არ ვარგოდნენ ხშირად მასწავლებელნიც, რომლებიც გვასწავლიდნენ ჩინოვნიკურად და იმიტომ, რომ ოცში ჯამაგირს მოელოდნენ!..

აი, გიამბობთ გაკვრით, როგორს ზნეობრივსა და გონებრივს სწავლას ვღებულობთ ეხლანდელ სასწავლებლებში. შვიდის წლის ვიყავი, სოფლის სამინისტრო სკოლაში რომ შემიყვანეს. სკოლაში შესვლა ძალიან მიხაროდა, მიხაროდა, რადგან ვფიქრობდი,—მალე წერას ვისწავლი და ძმას, რომელიც ქალაქში სწავლობდა, წერილს მივწერ-მეთქი. მაგრამ იმედი გამიცრუვდა. სულ ორი თვის განმავლობაში გავათავეთ ქართული ენის «კურსი», ე. ი. ვისწავლეთ ქართული ანბანი და ამოკითხვა, ზოგიერთებმა ვერც ეს შეითვისეს. შემდეგ მასწავლებელმა გამოგვიცხადა: ახლა გეყოფათ ქართული ენის სწავლა, მეტის სწავლება მთავრობისაგან აღკრძალულიაო“ და დაგვაწყებინა რუსული ენა.

ეს სკოლა სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა და სამივე ერთ ოთახში იყო მოთავსებული. ერთ დღეს, გაკვეთილის დროს, სკოლაში მოულოდნელად შემოვიდა სოფლის გლეხი, რომელსაც შვილი მე-III განყოფილებაში ჰყავდა, და ტირილით შესჩივლა მასწავლებელს:—„როგორ დავიღუპე, ბატონო, ბავშვი შინ მემსახურებოდა, ყანაში მეხმარებოდა, ყველა ამაებს მოვაცდინე, სკოლაში შემოვიყვანე, ვიფიქრე, იქნება რამე ისწავლოს-მეთქი, მაგრამ როგორ მოვსტყუვდი კაცი! გუშინ სალდათ შვილისაგან წერილი მივიღე, დავუძახე ჩემ შვილს, აი, მანდ რომ ზის, წერილის წასაკითხავათ, მაგრამ ერთი ანბანიც ვერ ამოიკითხა! არა, აბა რას სწავლობდა, ბატონო, ბოვში სამი-ოთხი წლის განმავლობაში?! როდესაც გკითხავდით,—მეუბნებოდით, ძალიან სწავლობს შენი შვილიო. ასე რომ მცოდნოდა, როგორ გამიწყრებოდა ღმერთი, როგორ შემოვიყვანდი ბავშვს სკოლაში და გავაცდენიებდი სამ წელიწადს!“ ამ სიტყვების შემდეგ გლეხმა წაიყვანა თავისი შვილი და წავიდა. ასეთი მომჩივნები ბევჯერ მოდიოდენ მასწავლებელთან.

ბოლოს მასწავლებელი იძულებული შეიქნა ესწავლებინა ქართული ენა. გვაყიდვინა ყველას ,,დედა-ენა‘‘ და გამოგვიცხადა: ,,ქართული ენის სწავლება აღკრძალულია და ჩუმად უნდა ვისწავლოთ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ მთავრობის წარმომადგენელი არ შემოგვესწროსო‘‘. ქართულის გაკვეთილზე ამოგვალაგებინებდა რუსულ-საწერ რვეულებს და კალმებს; რვეულებზე ქართულ წიგნებს დავაწყობდით და ამნაირად გვასწავლიდა. თუ ვინმე შემოვიდოდა ან რამ ხმაურობა მოგვესმოდა აივნიდან, მაშინვე წიგნებს შევინახავდით და კალმებს ვკიდებდით ხელს... აი, აქვე ვხედავდით უსამართლობას და ვეჩვეოდით **ფლიდობას**.

ერთი წლის შემდეგ გამოგვიცვალეს მასწავლე-

სა, საფრანგეთისა, ამერიკისა და გერმანიის საზოგადოება-ინტელიგენციაც იღებს მონაწილეობას ამ საქმეში და მზად არის იაპონიას მილიარდები ასესხოს. რუსეთის სესხი კი მხოლოდ ბანკებმა და ფინანსისტებმა გაასაღეს. მიზეზი იაპონიისადმი ნდობისა, ჯერ ერთი, იაპონიის ჯარის გამარჯვებაა, მეორე და უმთავრესი კი ის არის, რომ იაპონიის ფინანსებს ხალხი კონტროლს უწევს და მთელ იაპონიას მარტო ერთი კაცი—მეფე კი არ განაგებს, არამედ მთელი ერი. ინგლისის ფინანსისტებმა მითხრეს,—იწერება კორესპონდენტი,—დღეს რომ რუსეთში დამფუძნებელი კრება გამოცხადდეს, ხვალ რუსეთი ინგლისში მილიარდებს იშოვნისო (ნ. ვ.).

საიდუმლო ხელშეკრულობა ,,ღნ. პოზ.“-ის სიტყვით რუსეთის მთავრობამ ცნობა მიიღო, ვითომ ჩინეთმა და იაპონიამ საიდუმლო ხელშეკრულობა დასდეს, რომელშიაც ნათქვამია: თუ იაპონიამ მოახერხა და მანჯურიიდან რუსები განდევნა, ჩინეთმა იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალს ნახევარი მილიონი სალდათი უნდა მიაშველოსო (რ. ს.).

სხვა და სხვა ამბები. 21 მარტს ხაილარის მახლობლად (მანჯურიაში) სამხედრო მატარებელი მეორე მატარებელს დაეჯახა და დაიმსხვრა. მოკვდა 8 სალდათი ბ 18 ცხენი, დაიჭრა 26 სალდათი და 8 ცხენი. მიზეზი ის ყოფილა, რომ მემანქანესა და იმის თანაშემწეს ჩასძინებოდათ და სადგურში მატარებელი ისე მისულა, რომ ვერც ერთს მათგანს ვერ გაუღვიძნია (ნ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

სოხუმი. მოწაფეებმა სასწავლებლის ფანჯრები ჩალეწეს. უმრავლესობამ სწავლა შესწყვიტა. გაიფიცნენ ნოქრები და მენავეები. კიდევ ოთხასი კაზაკი რუსი ჩამოვიდა.

ნამესტნიკის დეპეშა

(„კავკაზი“ № 86).

30 მარტს მივიღე მის უდიდებულესობის მოადგილის, გენერალ-ადიუტანტის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვისაგან შემდეგი დეპეშა:

„ხელმწიფე იმპერატორის სურვილით, ჩემს საყვარელ კავკასიის მმართველობაში მე უფროსობა დამევალა. ჩემდა სამწუხაროდ, ამ თანამდებობის მიღება მომიხდა იმ დროს, როდესაც ყოველდღე მოგვდის ამბები მშვიდობიანობის დარღვევის, არეულობის, დარბევისა და ყოველგვარ ძალმომრეობის შესახებ. როგორც ძველი ჯარის კაცი, მე ვერ ვიტყვი უარს სამსახურზე, როდესაც ჩემ სამსახურს მოითხოვს საქმე. ამასთანავე სრული იმედი მაქვს, რომ შესაძლებელია კავკასიის სრული დამშვიდება და მისი ნაყოფიერი განვითარება შემდეგში. სრული დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიელნი ერთგულნი არიან იმ მეფისა, რომლისთვისაც ყველა ეროვნება თანასწორად [illegible] ძვირფასი. ახლა მივმართავ კავკასიაში ყველა მცხოვრებს, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად, და ვითხოვ დახმარებას სამშობლო ქვეყნის საუკეთესოდ მოწყობისათვის. კავკასიაში მშვიდობიანის გზით რეფორმების შემოღებისთვის ყველა საზოგადო ძალთა დახმარებაა საჭირო. მრწამს ხალხის გონიერება და დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობიანობის დამრღვევი ნაწილი საზოგადოებისა კეთილ-მოაზრე უმეტესობის საერთო მექმედებას ვერ გაუძლებს. მის იმპერატორებითი უდიდებულესობისაგან ბოძებულ ბრძანების თანახმად, მე მოვიწვევ ხალხის წარმომადგენლებს კრებებზე: აქ იქნებიან თავად-აზნაურობის, ქალაქებისა და სოფლის საზოგადოების წარმომადგენელნი, აგრეთვე მართლმადიდებელ, სომეხ-გრიგორიან და მაჰმადიან სამღვდელოების წარმომადგენელნიც. ამ კრებებს მიეცემათ წინადადება გამოსთქვან თავიანთი აზრი იმ ზომების შესახებ, რომლის დაუყოვნებლივ მიღება ყოველ-გვარ ავაზაკობის, ძარცვა-გლეჯისა და არეულობის მოსასპობად არის საჭირო, გამოარკვიონ რამდენად არის საჭირო კავკასიაში სასამართლოს არსებულ წყობილების შეცვლა, მოილაპარაკონ, რამდენად ან რა საშუალებით შესაძლებელია კავკასიაში საერობო დებულების შემოღება. ამას გარდა, მივიღებ ყოველგვარ საშუალებას გამიჯვნის დასაჩქარებლად და გამოსარკვევად სახაზინო ადგილთა ნამდვილ რაოდენობისა, სადაც უმიწაწყლო მკვიდრთა დასახლებაა შესაძლო. სომეხთა კათოლიკოსის უწმიდესის დიდმთავრის თხოვნის თანახმად, უმაღლესად ნაბრძანებია სომხის ეკლესიის კუთვნილ ადგილთა სახაზინო გამგეობაში მიღების საქმე ხელახლად იქმნას განხილული.

დარწმუნებული ვარ, რომ ყველა სახელმწიფო სამსახურში მყოფი ადამიანი შეიგნებს, რომ ამ ძნელ დროში აუცილებლად საჭიროა სვინიდისით მთელი თავისი ძალღონე შესწიროს ყველასათვის სანატრელ კეთილდღეობის მიღწევას. ყველას უნდა ჰქონდეს მიზნად კავკასიის განვითარება და კეთილწარმატება იმ საფუძველზე, რომელიც ხელმწიფის მიერ ჩემ სახელზე ბოძებულ რესკრიპტშია გამოთქმული.

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

ვაცხადებ რა ამას, სრულიად ვარ დარწმუნებული, რომ კავკასიის მცხოვრებნი სავსებით შეიგნებენ ნამესტნიკის ამ მოწოდების სრულ მნიშვნელობას. ამ დეპეშით ხალხს ეუწყება, რომ ახლო მომავალში კავკასიაში შემოვა მრავალი ცვლილება, რომელიც შეეხება ხალხის ცხოვრების უმთავრეს მხარეებს და რომელიც იქმნება შემოღებული თვით ხალხის უახლოესი მონაწილეობით, რისთვისაც იქნებიან მოწვეულნი ხალხის წარმომადგენელნი სარწმუნოების, ეროვნებისა და წოდების განურჩევლად. ამ ძნელ საქმის დასაწყებად და მის კეთილად დასასრულებლად არის აუცილებლად საჭირო საზოგადო ცხოვრების მშვიდობიანი მიმდინარეობა, რათა თვით ხალხმა მოისვენოს ეხლანდელ არეულობის შემდეგ და შეიძლოს თავისუფლად ითათბიროს თავის საჭიროებათა შესახებ ან საზრიანად მოეკიდოს მომავალ შრომას. ამიტომ მოვიწვევ ყველას დამშვიდდნენ, წესიერება ჩამოაგდონ და დაიცვან კანონი, რომ ამით უფრო მალე შეუერთონ კავკასია შინაურ აღმშენებელ საქმეს იმ საფუძველზე, რომელიც არის აღნიშნული 18 თებერვლის უმაღლეს რესკრიპტში შინაგან საქმეთა მინისტრის სახელობაზე და 26 თებერვლის კავკასიის ნამესტნიკის სახელობაზე.

კავკასიის მთავარმმართებლის თანამდებობის აღმასრულებელი და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი

გენერალ-ლეიტენანტი **მალამა.** 30 მარტს 1905 წ. ქ. ტფილისი.

ახალი ამბავი

✦ **ტფილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში** მეშვიდე კლასამდის მოწაფეები უეგზამენოდ გადაჰყავთ, წლის ნიშნების მიხედვით. **მეშვიდე კლასში ეგზამენები დაიწყო** ხუთშაბათს, 31 მარტს, და დამთავრდება 17 მაისს. წელს სწავლას ამთავრებს 49 ქალი, მათ შორის 8 ქართველია. მერვე სპეციალურ კლასში კი ეგზამენები იწყება 5 აპრილს და თავდება 13 აპრილს.

✦ გუშინ, 1 აპრილს, დილის მატარებლით **ექსარხოსი ახალ სენაკს გაემგზავრა.** ექსარხოსს თან ახლავს არქიმანდრიტი გიორგი. ექსარხოსი ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელს დაათვალიერებს, 3 აპრილს აკურთხებს ახლად აგებულ ეკკლესიას და ტფილისში 4 აპრილს დაბრუნდება.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა კიევის რკინის გზის გამგეობიდან **მიიღო ახლი** იმ წესდებისა, რომელიც შეეხება საამხანაგო სასამართლოს შემოღებას მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა შორის. ამასთან ერთად გამგეობა სწერს უფროსს, თქვენ გზაზედაც, იქნება, შემოიღოთ ესეთი სასამართლოებიო.

✦ დუშეთის მაზრის სოფლების: მუხრანისა, ძალისისა, მჭადის-ჯვრისა და წილკნის გლეხებს—11 მარტიდან დღემდე **ჩაყენებულ ჯარის საკვებად უნდა გადაიხადონ ორი ათასი მანათი.**

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიაში ამ ჟამად **სწავლობს 45 რუსი მოწაფე და ათი ქართველი.** 15 თებერვალს დათხოვნილ ცამეტ მოწაფეს გარდა, თავის ნებით სასწავლებლიდან გასულა 145 კაცი. ამათში სასწავლებლის მთავრობას 45 კაცი მიუწვევია, რადგანაც ისინი სანდოდ უცვნია.

✦ ხუთშაბათს, 31 მარტს, **ქალაქის საბჭოს** სხდომაზე 9 განსახილველად დანიშნულ საქმიდან, ხმოსნებმა მხოლოდ 2 საქმე **განიხილეს:** გამგეობის დადგენილება ცალკე სასამართლოს დაარსების შესახებ, სადაც უნდა ირჩეოდეს საჩივრები ქალაქის სავალდებულო წესდების დარღვევის გამო, და ნავთლუღელების თხოვნა იმის **შესახებ**, რომ ნავთლუღის ტრამვაის მომავალ გზას სხვა მიმართულება მისცეს. დიდი კამათის შემდეგ, განსაკუთრებულ სასამართლოს დაარსება ნაადრევად იცნეს, ხოლო ნავთლუღის ლიანდაგის მიმართულების შეცვლის შესახები გეგმა, გამგეობის მიერ შემუშავებული, საბჭომ დაამტკიცა.

✦ ამჟამად ტფილისში იმყოფება **ინგლისურ გაზეთ** ,,Central News-ის **კორესპონდენტი** იუვენალი ვ. მაქსიმოვი, რომელიც ამ დღეებში გურიაში მიემგზავრება იქაურ **მოძრაობის** დაწვრილებით **გასაცნობად და ინგლისურ გაზეთში გამოსაქვეყნებლად.** ბ-ნ მაქსიმოვს განუზრახავს, გურიის შემდეგ, ქართლისა და კახეთის მოძრაობის ნამდვილი მიზეზები შეიტყოს და ევროპას აცნობოს.

✦ 31 მარტს, სატივეზე, **სასმელების მოვაჭრენი შეიკრიბნენ** და თავიანთ მდგომარეობის შესახებ მსჯელობა ჰქონდათ. როგორც ვიცით, ამათაც საღამოს ექვს საათზე აკეტინებენ დუქნებს და დიდი ზარალი მოსდით. დაადგინეს, ამ მოკლე ხანში მოახდინონ საერთო კრება. კრებამ უნდა გამონახოს ზომები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბინათა ქირის დაკლებისა „სრედნი აქციზის“ მოსპობისა და სხვა. ამისათვის ამოირჩიეს სამი კაცი, რომელთაც მიანდეს, იშუამდგომლონ ქალაქის მოურავთან, რომ სასმლით მოვაჭრეთა ნება დართოს ქალაქის საბჭოში კრების გამართვისა.

✦ სოფელ მუხრანის საუფლისწულო მამულების გამგეს ფონ-რააბენს გაჩეხილის ტყის **ზარალი ორმოც თუმნად შეუფასებია და გლეხებს უნდა გადაახდევინოს.** დუშეთის მაზრის უფროსი არა სთანხმდება და ზარალს ოც თუმნად აფასებს. ამის გამო ფონ-რააბენს მთავრობისთვის უცნობებია, დუშეთის მაზრის ადმინისტრაცია ჩვენის ინტერესების დასაცველად წესიერად არ მოქმედობსო.

✦ პირველი კრება **ჭლექის საწინააღმდეგო** საზოგადოებისა დანიშნულია 10 აპრილისთვის.

✦ ხუთშაბათს, 3 მარტს, სომხურ დრამატიულ საზოგადოების დასმა, არტისტის **პეტროსიანის საბენეფისოდ**, წარმოადგინა შექსპირის ხუთ-მოქმედებიანი დრამა „შეელობა, ანუ „ვენეციელი ვაჭარი“. საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და დიდძალი ხალხიც დაესწრო. მობენეფისეს ბ-ნ პეტროსიანს, დიდის ოვაციებით მიეგება დამსწრე საზოგადოება. შემდეგი წარმოდგენა გაიმართება შაბათს, 5 მარტს, ქ-ნ სირანუშის საბენეფისოდ. წარმოდგენილი იქნება პირველად ხუთ-მოქმედებიანი პიესა „მარიანა“. იმედია, სომხის საზოგადოება დააფასებს ქ-ნ სირანუშის ღვაწლს სომხურ სცენაზე და მრავლად დაესწრება.

✦ **წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლის მმართველად** დაინიშნა სამეურნეო სასწავლებელში კურს დამთავრებული პეტრე გიორგის ძე **მელია.**

✦ კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა სიღნაღის მაზრის სოფელ სვეჩინოში სამღვდელოთა კრებულის **სადგომების ასაგებად 3,000 მანათის სესხად** მიცემა შესაძლოდ ვერა სცნო, რადგანაც გადმოსახლებულთათვის გადადებული თანხა წელს მცირეა წინანდელზეო. გენერალმა მალამამ შესაძლებლადა სცნო ცოტა რამ დახმარება აღმოუჩინოს.

✦ ხარკოვისა და პეტერბურგის ქალაქის **გამგეობათ შემოუთვალეს** ტფილისისას, რომ საყასბოს სალახებს ჩვენ ვაძლევთ 25 მანეთიდან 75 მანეთამდეო.

✦ ტფილისიდან „რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ: «**ტ. ს. სულთან კრიმ-გირეი** პეტერბურგს წავიდა, სადაც ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს **მოხსენება უნდა წარუდგინოს განჯის გუბერნიაში (?) არეულობის შესახებ.** ყოველ დღე ამ გუბერნიაში მკვლელობა ხდება».

საინტერესოა გავიგოთ, ვინ არის ამ დეპეშის ავტორი, ან რად და რისთვის ამახინჯებს ფაქტებს?

✦ გუშინ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა აცნობა განჯის სადგურის უფროსს და ჟანდარმების პოდპოლკოვნიკსაც, რომ **სადგურის ან დეპოების მოსამსახურე პირები** თუ ერთგულად არ შეუდგებიან ისევ სამსახურს,—ყველანი პასუხის გებაში იქმნებიან მიცემული და დაისჯებიან, როგორც ხელმწიფის მოღალატენი. სამსახურის დასაწყებად უფროსს ერთი საათის ვადა მიუცია ყველასთვის. თუ ვინიცობაა ამ ვადაში არ გამოცხადდნენ, ჯარის კაცები უნდა ჩადგნენ საქმეში დათხოვნილ მოხელეთ და მუშათა სამაგიეროდ.

✦ უბედურების ასაცდენად **ევლახისა და აქსტაფის შუა** მატარებლები ნელა დადიან, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით.

✦ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს მიწად-მოქმედების დეპარტამენტისაგან მოუვიდა მიწერილობა, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთა შორის მეურნეობის დარგის განვითარებას შეეხება სხვადასხვა ღონისძიებათა მიღებით დეპარტამენტი ავალებს რწმუნებულს, ადგილობრივი **საზოგადოებრივი ძალები მიიმხროს სამოქმედოდ** და ადგილობრივი წყაროც აღმოაჩინოს კერძო შემოწირულებითო. მინისტრის რწმუნებულს მიენდო, თვითონ გადასწყვიტოს, თუ როგორის ტიპის სამეურნეო სასწავლებლები და დაწესებულებანი უნდა დაარსდეს კავკასიაში, ვისი მამულები დაეთმოს,—სახელმწიფო თუ კერძო კაცთა, რა წყარო უნდა აღმოაჩინოს სასწავლებლების შენახვას, როგორ მოწესრიგდეს საქმე, რომ ცალკე საგანგებო ბეჯითა გაიმართოს ამ საგანზე უფრო დაინტერესებულთაგან. მინისტრის რწმუნებულმა ყველა ამაზე დაწვრილებითი ცნობები უნდა აცნობოს დეპარტამენტს მოკლე ხანში.

✦ გუშინ, 1 აპრილს, **დუშეთის მაზრაში გაემგზავრნენ** ქსნის ხეობის მომრიგებელი შუამავალი გრ. ა. ყარანგოზიშვილი და წევრი ტფილისის საგლეხო საქმეთა საკრებულოსი ბ-ნი შესტაკოვი. როგორც ნამდვილად გავიგეთ, ბ-ნ ყარანგოზიშვილს სურს მოელაპარაკოს მუხრანისა, ძალისისა, მჭადი ჯვრისა და წილკნის გლეხებს და, თუ შეთანხმდნენ, ამ სოფლებს ჯარი მოაშოროს, რომელიც მეტის-მეტად ავიწროებს ისედაც ძალზე გაზვერილ გლეხებსა.

✦ გუშინ, 1 აპრილს, ქალაქის მეექვსე ნაწილის მეძავმა-ქალებმა თავი მოიყარეს პოლიცმეისტერის სამმართველოში და შესჩივლეს: „ჩვენი აღები უდიერად გვექცევიან. ჩვენა გვაქვს ეგრედ წოდებული საერთო ყულაბა, სადაც მთელის თვის მოგებას ვაგროვებთო. თვის გასულს აღა ფულს შუაზე ჰყოფს, ერთ ნახევარს თვითონ იღებს, მეორე ნახევრიდან კიდევ სმა-ჭამის ფასს თითოზე 16 მან. და 50 კ. იჭერს და მხოლოდ მერე გვინაწილებსო. მეძავი ქალები თხოულობენ—ზემოდ დასახელებული ფული საჭმელსასმლისა ირიცხებოდეს საერთო ჯამიდან და არა მეორე ნახევრიდან. თხოულობენ აგრეთვე სანიტარულ პირობების გაუმჯობესობას.

✦ როგორც თელავიდან გვატყობინებენ, 27 მარტს ქ. თელავში გაუძარცვავთ ადგილობრივი სასამართლოს დარბაზი და წაუღიათ რკინის კასსა, რომელშიაც 30 მანათი ფულად, 45 მან. მარკები და ვექსილის ბლანკები ყოფილა.

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ფელეტონის „იმერეთის სამღვდელოების კრების“ უკანასკნელ სვეტის თავში შეცდომით ერთი სტრიქონი მეტია ჩართული. ეს სტრიქონი ეკუთვნის იმავე სვეტის თავში ახალ ამბავს.

სადღეისო

საყურადღებო საქმე.

გუშინდელ კრებაზე ზოგიერთების ნალაპარაკევი საშვილიშვილო სახსოვრად დაგვრჩება ქართველებს...

გუშინდელი კრება ტფილისის თავად-აზნაურობის გამოცდა იყო ხალხის წინაშე.

აქ უნდა დაენახა საზოგადოებას, თუ როგორ ჰფიქრობენ ტფილისის თავად-აზნაურები ქვეყნის სამსახურს...

როგორ უნდა მოეწყოს საქართველოს წესყობილება შემდეგში, რომ ხალხი ბედნიერების და კმაყოფილების გზას დაადგეს.

უნდა გამოვტყდეთ,—ეს გამოცდა საუცხოვო რამ იყო.

კრება ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო... თავად-აზნაურების ერთი ნაწილი გაბედულად და თამამად ლაპარაკობდა იმაზე, რომ მხოლოდ სრულ თვითმართველობის, ავტონომიის მონიჭებით შეიძლება ხალხის დაკმაყოფილება, ვინაიდან მხოლოდ მაშინ იქმნება ხალხი განთავისუფლებული სხვების „ოპეკისაგან“.

მეორე ბანაკი ერიდებოდა «სხვის» განრისხებას,—რად გვინდა ჩვენთვის ცალკე თვითმართველობაო, განა არ კმარა, სხვების კრებაშიჩვენც მოგვეცა თუ უფლება თავისუფლად გავაგებინოთ რუსის საზოგადოებას ჩვენი ნაირ-ნაირი საჭიროება?

მკითხველმა უკვე იცის, რომელ აზრს დაადგა კრების უმეტესობა, აქ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ზოგიერთების ბრძნული და რაინდული სიტყვა კრებაზე.

— „მართალია, ყოველის მხრივ შევიწროვებული ვართ, მაგრამ ავტონომიაზე ლაპარაკი მაინც არ შეიძლებაო... რუსის საზოგადოებასთან ერთად ვიყავით ჩაყენებული შევიწროვებულ მდგომარეობაში, მასთან ერთად ვიყავით მოკლებული ყოველგვარ უფლებას და ახლა, როდესაც ხმის ამოღების უფლება მოგვეცა, რად უნდა ჩამოვშორდეთ რუსეთის საზოგადოებას და ჩვენთვის განსაკუთრებული უფლება მოვითხოვოთო...

რად უნდა გამოვაცხადოთ, თქვენ—თქვენთვის და ჩვენ კი ჩვენთვისო.

ეს ხომ საწყენად დაურჩება რუსებსო.

და აი ამ წყენას უშინდება „კნიაზი“...

ყოველთვის სხვის „ფეხთა მტვერობას“ შეჩვეული, ხელაც ვერ ჰბედავს ხმის ამოღებას, სამართლიან უფლების მოთხოვნას მხოლოდ იმის შიშით,—ვაი თუ ეწყინა ბატონო!

ქართველებს არა ერთი და ორი წყენა აგვიტანია წარსულში და ეს წყენა დავიწყებული აქვს საზოგადოებაში მოლაპარაკე „პატივცემულ სამება“-ს.

ახლა სამართლიან წესწყობილებაზე არის ლაპარაკი,—ბევრი იქმნება ისეთი რუსიც, რომელსაც არ იამება ქართველებისაგან სრულიად რუსეთის საერო კრებაში მონაწილეობის მიღებაც, მაგრამ ნუ თუ ამიტომ უნდა აილოს ხელი სხვადასხვა უფლებაზე ქართველმა?

არა! მონობას ჩვეული ვერ შესძლებს თავისუფლებაზე ლაპარაკს.

სხვისი „მონა მორჩილი“, სხვისი „მოსამსახურე“ რაში არგია ერს მაშინ, როდესაც ეროვნულ საქმეებზე არის ლაპარაკი ჩამოგდებული?

და აი სწორედ ამიტომ, ამნაირ „პატივცემულ სამების“ შიში იყო, რომ აშინებდა ზოგიერთი, ხალხის მაგიერად ლაპარაკი არ შეუძლია თავად-აზნაურობასო.

ამ „პატივცემულ სამების“ გონება ვერ ასცდენია კანცელარიის კარებს და ბიუროკრატიის ბეჭედი ხელს უშლის, აახილოს თვალი და დაინახოს ხალხის ნამდვილი საჭიროება.

ეროვნული თვით-მმართველობა ისეთი კანონიერი და სამართლიანი რამეა, რომ ამის წინააღმდეგობა არ შეუძლია ან არ უნდა შეეძლოს არავის, ვისაც მისი თავი სამართლიანობის მომხრე ჰგონია.

ეროვნული თვით-მმართველობა აუცილებელია იქ, სადაც ერთ სახელმწიფოში თავმოყრილია სხვადასხვა ეროვნება.

ეროვნული თვითმმართველობა აუცილებელია ერის არსებობისთვის.

ამიტომ საშვილიშვილოდ დარჩება იმ «სამების» გვარები, ვინც ამ ეროვნულ თვით მართველობის წინააღმდეგ გამოილაშქრა სათავად-აზნაურო კრებაზე.

ვინც ადამიანს ჰკლავს პასუხის მგებელია კანონის წინაშე.

იმას ყველა კაცის მკვლელს ეძახის, ზიზღით უყურებს, იშორებს.

როგორღა უნდა მოექცეს ადამიანი იმას, ვინც მთელ ეროვნებას უსპობს სიცოცხლეს, ცალკე არსებობას, ცალკე განვითარების საშვალებასართმევს და საზოგადოებაში გამოდის კიდევ სალაპარაკოდ...

ასეთი პირი პასუხის მგებელია ერის და შთამომავლობის წინაშე.

ისტორია შესაფერ მსჯავრს დასდებს იმათ, ვინც ამ დიად ხანაში ვერ დაივიწყა ძველი დრო-

---

ბელი და ახალი დაგვენიშნეს. ჩვენ ვუამბეთ ამას, როგორც ვსწავლობდით ქართულ ენას. მასწავლებელი გაჯავრდა და გვითხრა: „მთავრობის მოტყუება როგორ შეიძლება,—რაც კანონშია, ისე უნდა შესრულდეს ყველაფერიო; თქვენ რუსული უნდა შეისწავლოთ, ქართული ისედაც იცითო“.

მაშინ ლევიცკის მუნჯური მეთოდი ახალ შემოღებული იყო. „უსათუოდ, სკოლაში რომ მოხვალთ, სულ რუსული ილაპარაკეთო, გვიბძანებდა მასწავლებელი, ქართულის დალაპარაკება არავინ გაბედოს; ეცადეთ, შინაც რუსული ილაპარაკოთო“. რომ უფრო შეგვესრულებინა მისი ბრძანება, მან დანიშნა მორიგეები, რომლებსაც შესვენების დროს თვალ-ყური უნდა ედევნებინათ. მოსწავლეებისათვის და, ვინც ქართულად დაილაპარაკებდა, მასწავლებელთან უნდა დაესმინათ. მასწავლებელი კი უსაღილოდ სტოვებდა და სჯიდა ქართულად მოლაპარაკეს და აქებდა და აქეზებდა მორიგეს. ამნაირად ვეჩვეოდით ჩვენ **ჯაშუშობას.**

დიდ გაჭირვებაში ვიყავით სკოლაში მოსწავლეები. რუსულად ორ სიტყვას ვერ ვიტყოდით ერთად. თუ რამე დაგვჭირდებოდა, მუნჯურად უნდა გვეჩვენებინა. შემდეგ კი მოვიგონეთ ხერხი. მორიგეებს ვაშლს, კომშს, კალმებს, სურათებსა და სხვა რამეებს მივცემდით ქრთამად, რომ არ დავესმინეთ.—ამნაირად ვეჩვეოდით **ქრთამის აღებ-მიცემას.**

სოფლის სკოლა რომ გავათავე, მომამზადეს და საშუალო სასწავლებელში შემიყვანეს.

აქ ლათინურის სწავლა პირველად ხალისიანად დავიწყეთ, მაგრამ, როდესაც გავიდა დრო, ყველას გვეზარებოდა და ერთი-მეორეს ვეკითხებოდით,—რა საჭირო იყო ეს საგანი და რაში გამოგვადგებოდა! ზოგიერთები ასე გვიპასუხებდნენ: „აი, ვინც ექიმად წავა, იმას დასჭირდებაო“. მაგრამ როდესაც ბერძნული ენა დაგვაწყებინეს, ამის საჭიროება კი ვერავინ ახსნა. მასწავლებელს კი ვერავინ უბედავდა კითხვას. ბოლოს გაბედა ერთმა და ჰკითხა, თუ რაში და რისთვის იყო საჭირო ეს ბერძნული ენა. მასწავლებელს არ ესიამოვნა ეს კითხვა,—ცოტახანს შეჩერდა და შემდეგ გაჯავრებულმა გვითხრა: „პირველად სწავლა-განათლება საბერძნეთში აღორძინდა, ისინი მთელ საუკუნეების განმავლობაში შრომობდნენ მეცნიერებისათვის და თქვენ ერთი საათიც არ გინდათ შესწიროთ მათს ენასო!“—ჩვენც ვიშრომებთ მეცნიერებისათვის და ეს ძველი გამოუსადეგარი ენა კი რად გვინდაო!—გაბედულად უთხრა მოსწავლემ. მასწავლებელი აენთო და უყვირა მოსწავლეს: „შენ, ვინ მოგცა ამდენი ლაპარაკის ნება, შენ, როგორც ჩანს, შეგზარებია სწავლა, ამიტომ „ორს“ გიწერ ამ საგანში, ხოლო, მეორეჯერ რომ არავინ გაბედოს ასეთი კითხვები, გაკვეთილის შემდეგ ინსპექტორთან მოდი და ის გაგისწორდებაო“.

ამნაირად აგვიკრძალეს მასწავლებლებისთვის ყოველნაირ კითხვის მიცემა და გვარიგებდნენ, რომ ყველაფერი უფროსის ნათქვამი დაგვეჯერებინა და შეგვესრულებინა, თუ გინდ სისულელეც ყოფილიყო. ასე გვაჩვევდნენ **უსამართლობის წინ თავის დახრასა და გაჩუმებას...**

რამდენიც დრო მიდიოდა, იმდენად უფრო და უფრო გვძაგდებოდა ძველი და მკვდარი ენები. ვხედავდით, რომ ეს ენები გამოუსადეგარი იყო, ტყუილად გვასწავლიდნენ მას და გვაწვალებდნენ. ამიტომაც გულიც ავიყარეთ ასეთ საგნების სწავლაზე. გაკვეთილებზე ყურს ვერ ვუგდებდით მასწავლებელს,—ან გვეძინა და ან ფიქრებში ვიყავით გართული, როდესაც მასწავლებელი გაკვეთილებს გვიხსნიდა. სახლშიაც არ ვამზადებდით გაკვეთილებს და ვცდილობდით **მასწავლებლების მოტყუილებით** სამი მიგვეღო.

ძველ ენების გაკვეთილების გამოტოვებას რომ შევეჩვიეთ, შემდეგ სხვა არა საინტერესო საგნებშიაც ვტოვებდით გაკვეთილებს... ძლიერ კი გვიყვარდა ნიშნები დაბალ კლასებში. ჩვენ **ვსწავლობდით ციფრებისთვის** და არა იმისათვის, რომ ცოდნა მიგვეღო. მასწავლებელი ხომ ძალიან იშვიათად იცნობს მოსწავლეს. მათ შორის გაუვალი ხიდია გადებული; მოსწავლეც ერთხელ ჩააბარებს მასწავლებელს გაკვეთილს და შემდეგ თავისუფალია, სანამდის რიგი არ მოუწევს. ძალიან ძვირია ისეთი მასწავლებელი, რომელიც იცნობდეს მოსწავლეს და იცოდეს, რამდენად მომზადებულია ის.

ეგზამენებზე რომ „ღალატიას“ ეთამაშობდით, მოგვცემდნენ რამდენსამე დღეს საგნების გასამეორებლად. ჩვენც ჩავუჯდებოდით და დილიდან საღამომდის გვექონდა სხაპა-სხუპი... მაგრამ რა? ერთ და ორ დღეში ჩვენს ცოდნას ვერას მივუმატებდით. ტყუილად ვიქანცებოდით,—რაც ვიცოდით, ისიც გვავიწყდებოდა და დაქანცულ, გამოლაყებულ თავით მივდიოდით ეგზამენზე. მწვანე სუფრა, თეთრი ბილეთებით მოფარული, დაგვხვდებოდა. სუფრას გარს უსხდნენ მასწავლებლები, წინ ეწყოთ ქაღალდები, ჟურნალები და სხვადასხვა ციფრებიანი საბუთები. გვცდიდნენ მოსწავლეებს და კალმით ხელში ყოველ წამს მზად იყვნენ დაეწერათ კარგი ან ცუდი ნიშანი. მოსწავლეების ბედ-იღბალი მათ კალამში მოიპოვებოდა და ჩვენც ვცახცახებდით და ცახცახით ძლივს ვუპასუხებდით... გაჭირვებამ აქაც გამოაგონებინა მოსწავლეებს ხერხი: წინდაწინ ვინიშნავდით ბილეთებს..

მოისპო ეგზამენები, მაგრამ მდგომარეობა მაინც არ გაუმჯობესებულა. როგორც ზევით ვსთქვი, უმეტეს ნაწილად მასწავლებლები არ იცნობდნენ მოსწავლეებს. ჰკითხავენ გაკვეთილს ორ თვეში ერთხელ, მაშინაც იმისთვის, რომ ორი ან სამი დასწერონ. შემდეგ-კი წლის ბოლოს შეაერთებენ და გაჰყოფენ ჟურნალში ჩაწერილ ციფრებს და ამნაირად გადასწყვეტენ ამა თუ იმ მოსწავლის ცოდნას!...

განა ეს პედაგოგიური წესია? განა მართლა საჭიროა აქ ციფრების შეერთება-გაყოფა? განა მასწავლებელი არ უნდა იცნობდეს უცილოდ, ესა თუ ის მოსწავლე სწავლობს საგანს თუ არა და რამდენად მომზადებულია, ღირსია თუ არა შემდეგ კლასში გადაყვანისა?

აი, ყველა ამებს ითმენდა მოსწავლე. მოსწავლეს აკრძალული აქვს გაკვეთილის გარეშე კითხვები მისცეს მასწავლებელს, ბევრი მასწავლებელი ცდილობს დაუხშოს მოსწავლეს თვით-აზროვნება, მსჯელობა. ეხლანდელ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, მამობრივ განწყობილების მაგიერ, ზიზღი და შურიანობაა ჩამოგდებული! რისთვის უნდა იყოს მასწავლებელი ისე დაშორებული მოსწავლეებზე, როგორც არის ახლა? რატომ არ უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს ნება კრება გამართონ და ამა თუ იმ საგანზე სჯაბაასი იქონიონ? რატომ არ უნდა შეეძლოთ მოსწავლეებს მოითხოვონ უვარგის და „ჩინოვნიკ“ მასწავლებლის დათხოვნა? განა ეს უსამართლობა არა?..

მაგრამ რა! ეს კი არა, ყოველ ნაბიჯზე უსამართლობას ვხვდებით ეხლანდელ სკოლაში და ცხოვრებაში...

აი, ამ უსამართლობის წინააღმდეგ აგვა დღეს მთელი რუსეთის საუკეთესო ნაწილი და ცდილობს დაამყაროს სამართლიანობა და თავისუფლება. ჩვენც, მოსწავლეები, ვუერთდებით და მხარს ვაძლევთ უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლებს, ჩვენც მათთან ერთად ვადგენთ მოთხოვნილებებს; ჩვენ ვთხოულობთ ისეთ ტიპის სკოლას, რომელსაც შეეძლება ახალგაზრდობის საუკეთესოდ მომზადება და მისი ამაღლება, როგორც ზნეობრივად, ისე გონებრივად. ჩვენ გვინდა ისეთი სკოლა, რომელსაც შეეძლება აღზარდოს ხალხის მეგობარი, მოღვაწე და მშრომელი თაობა.

მაშ, გაუმარჯოს ახალ სკოლას!

კანდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მაინც შეხედულება და, ხელის შეწყობის მაგიერად, შეუშალა ხელი გამოღვიძებულ ეროვნების ალორძინებას.

ერი, საზოგადოებაც არ დასტოვებს დაუსჯელად იმათ, ვინ ეღობება წინ მის ბუნებრივ განვითარებას...

ნ. ნ.

ქართლის ამბები.

სოფ. ბიწმენდი (დუშეთის მაზრა). ამ სოფლისა და ჯიღაურის სოფლის მცხოვრებნი 25 მარტს ერთად შეიკრიბნენ, მოილაპარაკეს თავიანთ საჭიროებაზე და შემდეგი დაადგინეს:

1. რადგანაც სოფელი ბიწმენდი სახნავ-სათესისა და საძოვრის სიმცირით ძალიან შევიწროებულია, ამიტომ უკან დაუბრუნონ სოფელს ის მამულები, რომლებიც დაისაკუთრეს მეზობელ სოფლების თავადაზნაურებმა. ამასთან რაც სახაზინო მამულებია, სოფლის საკუთრებად ჩაითვალოს (ტყე, სახნავი და საძოვარი) და გლეხების სასარგებლო გახდეს.

2. მემამულეთა ტყე გლეხობამ ისმაროს შინ მოსახმარად უსასყიდლოდ; საქონლის გარეკა ტყეში საძოვრად აგრეთვე უსასყიდლოდ უნდა იყოს; ამასთან გლეხობამ ერთმანეთს არ უნდა დაუმალოს თავიანთ მამულებში საქონლის ძოვება (ასეთი დადგენილება უკვე განახორციელა ერთმანეთში სამმა სოფელმა: ბიწმენდმა, ჯიღაურმა და ჭოპორტმა). თუ გლეხმა მემამულის ტყიდან შეშა საქალაქოდ ე. ი. გასაყიდად გამოიტანა, შემდეგი ფასი უნდა გადაიხადოს მემამულის სასარგებლოდ: საჟენ გასაყიდ შეშაში 22 მანათი, ურემში კი—30 კაპ., ურემ ჭიგოში—50 კაპ., 100 ცალ მარგილში—2 მანათი, მსხვილ ხეში, რომელიც შენობისთვის გამოდგება, მუხა იყოს გინდ წიფელა—40 კაპ. სახნავზე მემამულეს მიეცეს მოსავლის მეათედი.

3. ვინც სოფელში მცხოვრებია, განურჩევლად წოდებისა, სოფლის ყოველი გადასახადი უნდა გადაიხადოს.

4. მთავრობისაგან დაყენებული მამასახლისი არ არის სასურველი და ამიტომ ყოველ სოფელს თავისი ამორჩეული კაცები უნდა ჰყავდეს, რომელნიც სოფლის საქმეებს განაგებენ უსასყიდლოდ.

5. მღვდელს იმის გარდა, რაც ხაზინიდან ჯამაგირი ეძლევა, გასამრჯელოდ მიეცეს: წინ გასაძღოლი მიცვალებულზე—1 მან., სამკვდრო—2 მან., ჯვრის საწერა—3 მან., ხოლო სახლის გასანათლი და ბავშვის მონათვლაში გლეხებმა ფასი არ უნდა გაიღონ. წირვა-ლოცვა საყველგან, სადაც ქართველებია, ქართულ ენაზე უნდა იყოს.

6. სახელმწიფო ბეგარა და ყოველივე აქციზი მოისპოს; უმთავრესი მართებლობა მაზრაში მიენდოს ხალხისაგან ამორჩეულ კაცებს, განურჩევლად წოდებისა. უფლებანიც ყოველივე წოდებისა თანაბარი უნდა იყოს.

7. ვისაც წლიურად 500 მანათზე მეტი შემოსავალი არა აქვს, სახელმწიფო გადასახადი არ უნდა გადახდეს.

8. ჩვენგან გაწვეული სალდათები კავკასიის გარედ არ უნდა წაიყვანონ. ამასთან შემცირდეს სამსახურის ვადა 4 წლიდან 2 წლამდის.

9. სკოლები გაიმართოს სახელმწიფო ხარჯით. სწავლება უნდა იყოს ქართულ ენაზე და სავალდებულო 16 წლამდის ყველასთვის, განურჩევლად სქესისა.

10. „ზასტავების“ ფული გაუქმდეს.

11. სოფლის მაღაზიის ფული სოფელს უკან დაუბრუნდეს თავის სარგებლით სოფლისავე საჭიროებაზე მოსახმარად.

სოფ. ჯიღაურმა, გარდა ამ მოთხოვნილებისა, თავის მხრივ შემდეგი მოთხოვნილებანიც წამოაყენა;

1. წყლით, ე. ი. მდინარე თეზამით მემამულეებმა უშველად ასარგებლონ სოფელი. როცა წყალი ბლომად მოდის, მაშინ სოფელს სარწყავადაც მიეცეს და, როცა კლებულობს, სასმელად მაინც მოუდიოდეს. დაშლა ამისა არ შეეძლოთ გურამიშვილებს და სოფელ ნავდარაანთკარელებს.

2. რადგანაც სოფელი უმამულოდ შევიწროებულია, ამიტომ მეზობელ მებატონეებს ჩამოერთოს მამულის ნაწილი და მიეზომოს სოფელს.

3. სასამართლოებში საქმის წარმოება, სადაც ქართველები არიან, ქართული იყოს.

მაჰმადიანთა საჭიროებანი *)

1) მაჰმადიანებში ბევრი გაუნათლებელი ადამიანია, მაგრამ ყველა მორწმუნეა და მტკიცედ ადგია სარწმუნოებას და უწინდელ დროს ზნეჩვეულებას მშვიდობიან და ბედნიერ ცხოვრების მოსაპოვებლად. ამიტომ ისეთი სასულიერო მეთაურები სჭირია მაჰმადიანებს, რომ შეეძლოთ ხალხის საჭიროებათა გაგება. ამიტომ მუფტიები და ყადები ხალხმა თვითონ უნდა აირჩიოს ხოლმე ხუთი წლის ვადით. ხალხს უნდა ჰქონდეს უფლება გადააყენოს მოლები, იმამები და მუეძინები, თუ ისინი თავიანთ ცხოვრებით ჩირქსა სცხებენ თანამდებობას.

2) მაჰმადიანები საზოგადოდ კონსერვატიულ მიმართულებას ადგიან და ერთგულნი არიან ყორანისა და შარიათისა,—ამიტომ ოჯახის, დაქორწინებისა და მემკვიდრეობის შესახები ყველა საქმე უნდა ირჩეოდეს ყორანის და შარიათის თანახმად.

3) ორენბურგის სასულიერო რჩევას უნდა მიენიჭოს უფლება მეჩითების აშენებისა, მექტებისა და მედრესეს დაარსებაზე ნებართვა მისცეს, გაამწესოს თვითონ ამ სასწავლებლებისათვის მასწავლებლები. ამავე რჩევას და ტავრიდის მაჰმადიანთა სასულიერო რჩევას უნდა მიენიჭოს ვაკუფების გამგეობა, ვინაიდან ვაკუფები მაჰმადიანთა კანონით არსებობდა ყოველთვის.

4) რუსეთში მეტად ბევრი მაჰმადიანი ცხოვრობს, მათ აქვთ საკუთარი საჭიროებანი და იდეალები და ამ საჭიროებათ გარკვევა სჭირია. ამისათვის კი მაჰმადიანებისთვის არის საჭირო დედა-ენაზე გაზეთები აზრის გამოსათქმელად, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის შესაკავშირებლად, სიმართლის დასაცველადაც. ამიტომ მაჰმადიანებს უნდა მიენიჭოს იგივე სიტყვისა და ჟურნალ-გაზეთების თავისუფლება, რომელიც ამ ჟამად უნდა მიიღოს რუსეთის საზოგადოებამ, იმ განსხვავებით კი, რომ სამოქალაქო ცენზურას არ ჰქონდეს უფლება გაარჩიოს მაჰმადიანთა სარწმუნოების ყორანის ტექსტის შესახები მსჯელობა.

5) არიან ზოგიერთი ისეთი მაჰმადიანნიც, რომელთა წინაპარნი ქრისტიანებად არიან ხსენებულნი და ახლა ესენი ორ სარწმუნოებას შუა არიან გაჩერებული,—ქრისტიანობისა მათ არა იციან-რა, მაჰმადიანობა კი აკრძალული აქვთ.

6) მაჰმადიანთა სამღვდელოებას უნდა მიენიჭოს მათი კუთვნილი პატივისცემა.

7) სწავლება მაჰმადიანთა სასწავლებლებში უნდა სწარმოებდეს დედაენაზე. სასწავლებლის დასაარსებლად არ უნდა იყოს საჭირო ნებართვის მიღება. რუსულ სასწავლებლებში მაჰმადიანთათვის უნდა იყოს შემოღებული ისლამის გაკვეთილები იმ დროს, როდესაც ქრისტიანებს სამღვთო რჯულის გაკვეთილები აქვთ.

8) უნდა იყოს აკრძალული მაჰმადიანებში ქრისტიანობის გასავრცელებლად მისიონერების გზავნა.

9) მაჰმადიან ჯარის კაცებს უნდა ეძლეოდეს ცალკე საჭმელი და უნდა მიენიჭოს უფლება კაზარმებში თავიანთ ზნე-ჩვეულების მიხედვით იცხოვრონ.

ამას გარდა მაჰმადიანებს უნდა ჰქონდეს მინიჭებული მონაწილეობა ყველა იმ კომისიაში, რომელიც ამჟამად ირკვევს რუსეთის სხვადასხვა საჭიროებას.

რუსეთი

რას უპირებენ გაფიცულ სტუდენტებს. საერთო განათლების სამინისტროს ერთ დიდ მოხელეს, ტიხომიროვს „ფიგარო“-ს თანამშრომელთან ლაპარაკის დროს უთქვამს: ორიოდე კვირის შემდეგ რუსეთის ყველა სტუდენტებს შევეკითხებით, სურთ თუ არა სწავლა. ვისაც სურს, დარჩება, ვისაც არა გამოვაგდებთო (რ. ვ.).

ებრაელთა რეზოლიუცია. ვარშაველი ებრაელები შეკრებილან, თავიანთ ჭირ-ვარამზე ულაპარაკნიათ და ბოლოს შემდეგი რეზოლიუცია დაუდგენიათ: ჩვენ, პოლონელი ებრაელები ისეთსავე ტაფაში ვიხრაკებით, როგორც თვით პოლონელები, რომელნიც ჩვენთან ერთად სასტიკ და განსაკუთრებულ კანონების მეოხებით დატანჯულნი არიან. ეხლა, როცა მთელი რუსეთი ბიუროკრატიის მკლავებისაგან განთავისუფლებას ცდილობს, ჩვენ, რუსეთის ქვეშევრდომი ებრაელები მოვალენი ვართ მთელ საზოგადოების წინაშე განვაცხადოთ: ჩვენ, ებრაელებს მჭიდროდ დასახლებულ და მიყრუებულ დაბა-ქალაქების გარდა სხვაგან ცხოვრების ნება არა გვაქვს, სასწავლებლებში ებრაელების რიცხვი განსაზღვრულია, სახელმწიფოში თავისუფლად სამსახურის ნებას არ გვაძლევენ, ხელობას არ გვარჩევინებენ და გადაგვარებისა, გაველურებისა და გადატაკების გზაზე გვაყენებენ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ნახევარი ზომები, დროებით შემოღებული წესები და თანდათანობით შემოღებული რეფორმები ჩვენ არც არას გვარგებს და არც თანაუგრძნობთ მათ. რამდენიმე მილიონი ებრაელი მხოლოდ მაშინ დამშვიდდება, როცა სახელმწიფო წეს-წყობილება დამყარდება საყოველთაო თანასწორობაზე, როცა რუსეთის ყველა ეროვნებას თავისუფლად შეეძლება ეროვნული, კულტურული და ეკონომიური ზრდა და როცა ებრაელებსაც ისეთივე უფლებები ექნებათ, როგორიც სხვებს აქვთ. ამის განხორციელება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ყველა ერს იმდენი წარმომადგენელი ეყოლება, რამდენიც ერგება (რ. ს.)

გენ. ტრეპოვი, რევოლუციონერები და ანარქისტები. „ბერლინერ ლოკ. ანც.“-ის კორესპონდენტისათვის პეტერბურგის გენ.-გუბერნატორს უთქვამს: მე პეტერბურგში მშვიდობიანობა ჩამოვაგდე და გადაჭრით ვაცხადებ, რომ ისეთი ამბები, როგორიც 9 იანვარს მოხდა პეტერბურგში, აღარ განმეორდება. 9 იანვრის ამბები სვიატოპოლკ-მირსკის გადამეტებულმა გულკეთილობამ გამოიწვია. ანარქისტებისა და რევოლუციონერების მოსპობა მხოლოდ სისასტიკით შეიძლება. ამ პარტიებს რუსეთის ცხოვრებასთან საერთო არაფერი აქვთ. დამერწმუნეთ, რომ რევოლუციონერებსა და ანარქისტებს სასტიკად რომ არ მოვქცეოდი, პეტერბურგში ეხლა საშინელი ანარქია გამეფდებოდა. სლავიანებმა შუა პოზიცია არ იციან: ან გამოუღვიძებლად უნდა იძინონ, ან სადღაც ღრუბლებში უნდა იფრინონ. აი, სწორედ ამ მაღლა ფრენასთან არის საჭირო ბრძოლა, რათა ამ უკიდურესობამ სახელმწიფოს ვნება არ მიაყენოს. ეს მცხოვრებთა უმეტესობის დასაცველად არის საჭირო. მე დიდის შრომითა და გაჭირვებით სატახტო ქალაქში მშვიდობიანობა დავამყარე, ეხლა ჩვენ სრულიად დამშვიდებულნი ვართ (რ. ს.).

მუშათა მოძრაობა ბალტიის ზღვის ნაპირის გუბერნიებში თანდათან ვრცელდება. მუშები და გლეხები სიმღერით და წითელი დროშებით სოფლიდან სოფელში დადიან, ხალხს აღელვებენ და ყველგან ომისა და ეხლანდელ წესწყობილების წინააღმდეგ ლაპარაკობენ. მთავრობამ ვერაფერი გაარიგა და განზე გადგა. დონდანგენის მახლობლად მაზრის თანაშემწემ მუშების დამშვიდება სცადა, მაგრამ ხალხი ეცა, დასჭრა და გააგდო. ტოლამშიაც ერთი ურიადნიკი დასჭრეს. მემამულეთა სახლებს სულ ანგრევენ. მუშები ნამდვილ რაზმებს ადგენენ, მემამულეების სახლებზე იერიში მიაქვთ და ყველაფერს ანგრევენ. ერთ ადგილას ხალხს გამოცდილი მეთაური, მანჯურიაში დაჭრილი სალდათი მიუძღოდა. მოურავებსა და მოსამსახურეებს სოფლიდან რეკავენ. ხალხი ყველაფერს სწვავს და ანგრევს გარდა საქონლისა, რომელიც „დამნაშავე არ არის“ (რ.).

კორესპონდენცია

ფოთი. 28 მარტს აქაური ნოქრები და ყველა პროფესიის წვრილი ხელოსნები გაიფიცნენ და თავიანთ ადებს შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს:

1) კვირა-უქმე დღეებში მაღაზიები და სახელოსნოები დაიკეტოს მთელის დღით. მხოლოდ რესტორანები, სახაები, სასტუმროები უნდა გაიღოს დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდის. 2) დღიური ვაჭრობის დრო უნდა განისაზღვროს დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდის. 3) საუზმისა და სადილისათვის მომუშავეებს უნდა მიეცეთ 2 საათის თავისუფლება. 4) ყველა შეგირდებსა და ნოქრებს მიემატოს დღევანდელ ჯამაგირის 30 პროცენტი. 5) სადურგლოებში (სტოლიარებში) მოსპობილ იქმნას ნაჭრობით მუშაობა და დაწესდეს დღიური ხელფასი ერთი მანათიდან ორ მანათამდეს. 6) ბინის მაგიერ მიცემულ იქმნას ბინის ფასი. 7) მოისპოს 16 წლისაზე უფრო ახალგაზრდათა მუშაობა სამიკიტნოებსა, სასტუმროებსა და სასმელების სახლებში. 8) ყველა დარგში მოისპოს უჯამაგირო სამსახური. 9) სახარაზოებში, მეჩექმეებთან და თერძებთან 16 წლისაზე უფრო ახალგაზრდა შეგირდებისთვის დაწესდეს 6 საათის სამუშაო დრო. შეგირდებს უნდა მიეცეს სუფთა საცვლები. 10) სახელოსნოებში უნდა მიღებულ იქმნან შეგირდებად ბავშვები არა ნაკლებ 10 წლისა. 11) აკრძალულ იქმნას ისეთი შრომა, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ხელობასთან. 12) კვირა-უქმე დღეებში ბაზარში ვაჭრობა მოსპობილ იქმნას დილის 10 საათიდან. 13) მეხორცეთ, მეთევზეთ, მეფურნეთ მიეცეს მუშაობის ნება კვირა-უქმეებში მხოლოდ დილის 10 საათამდის და საღამოს 6-დან 8 საათამდის, 14) 16 წლისაზე უფრო ახალგაზრდა შეგირდების გონებრივ განვითარებისათვის იზრუნონ ადებმა (გამოწერილი იქმნას გაზეთები და სხ.) 15) კვირა-უქმეებში ყავახანები გაიღოს მხოლოდ დღის 12 საათზე საღამოს 10 საათამდის. 16) სადალაქოები საქმის დღეებში უნდა გაიღოს დილის 8 საათზე საღამოს 10 საათამდის. უქმე დღეებში კი დაიკეტოს სრულიად. 17) ღვინის საწყობები და თევზის სავაჭროები უქმე დღეებში სრულიად იკეტება. საქმის დღეებში კი ვაჭრობა დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდის უნდა სწარმოებდეს.

ამ 17 მუხლით გამოიხატება აქაურ ნოქრებისა და ქარგალ-შეგირდების მოთხოვნილებანი. როგორც ამბობენ, ნოქრების ადები თანახმა არიან ყველა მუხლები უცვლელივ დააკმაყოფილონ. მხოლოდ სახელოსნოების პატრონები, როგორც ეტყობა, წინააღმდეგნი უნდა იყვნენ. განსაკუთრებით მე 9 და მე-14 მუხლზე პროტესტს აცხადებენ.

ბ. პელაშვილი.

სოფ. ბიწმენდმა აქვე ამოირჩია სოფლის მმართველებად 7 კაცი, ხოლო ჯიღაურამ—5 კაცი. აგრეთვე ჭოპორტელებმაც ამოარჩიეს 12 კაცი.

რადგან ჭოპორტელებსაც სურთ ზემოხსენებულ დადგენილებას ხელი მოაწერონ და ჯერ ესეთი მოთხოვნილებანი იმათთვის ხელ-მოსაწერად არ მიუტანიათ, ამიტომ ბიწმენდელებმა და ჯიღაურელებმა ეს მოთხოვნილებანი უმაღლეს მთავრობას არ წარუდგინეს ჯერ-ჯერობით და ელიან ჭოპორტელებს.

ქალაქელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

1 აპრილი.

სინგაპური, 31 მარტი. გუშინ რიუს ყურეში ჰოლანდიის ესკადრა შეამჩნიეს.

ჩიკაგო, 31 მარტი. „დეილი-ნიუსი“ საიგონიდან იუწყება, როჟესტვენსკის ესკადრის საავადმყოფო გემი გუშინ დილით საიგონში შევიდა სურსათისა, ნახშირისა და სამკურნალო კუთვნილებათა წასაღებად. ხვალ შუადღისას ზღვაში გავა ესკადრის მთავარ რაზმისკენ წასასვლელად.

შანჰაი, 31 მარტი. აქა ჰგონებენ, რომ კრეისერი „ასკოლდი“ და ნაღმოსანი „გროზოვოი“ ზღვაში გასასვლელად საიდუმლოდ ემზადებიან. ამბობენ, იმათ დიდძალი ნახშირი დაუდესო. იაპონიამ ამის თაობაზე ჩინეთს შეატყობინა, მაგრამ ჩინელებს ვერ შეუძლიანთ გემების გასვლას ხელი შეუშალონ.

გოძიადანი, 1 აპრილი. მთავარ-სარდალი მოწინავე პოზიციებს უვლის. მოსული ჯარები კარგ ფერზე არიან. მეათე კორპუსი კარგს შთაბეჭდილებას ახდენს.

ვაშინგტონი, 31 მარტი. საზღვაო დეპარტამენტი კიუბაში, ფილიპელებთან, კრეისერს „რალეის“ ჰგზავნის იაპონელებისა და რუსების სათვალთვალოდ.

ტოკიო. 31 მარტი. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ პეტერბურგში მიღებული ცნობა ვითომდა რუსებმა იაპონელებს 7 ხომალდი დაულუპესო,—სიცრუეა.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტამენტს ცნობა მოუვიდა, ამერიკის კრეისერი „რალეიგი“ ფილიპეს არქიპელაგისკენ წავიდაო. ამბობენ, ამ გემის კაპიტანს აუწყეს, საით უნდა წავიდნენ იაპონიისა და რუსეთის ესკადრები, და ამიტომ გაეშურა ფილიპეს კუნძულებისკენო.

პეტერბურგი. დეპეშა გენერალ ლინევიჩისა: 27 მარტს ჩვენი ცხენოსანი ჯარი სოფელ მაჩენტას წავიდა. მზვერავებმა გააფუჭეს რკინის გზის ტელეგრაფი ჩაკუფუსთან და კაიუან-ჩანტუფუს გზაზე. 28 მარტს ჩვენმა მზვერავებმა გადასჭრეს ტელეგრაფის ორი მავთული ნაიუანთან.

ლუგანსი. აგრარიულ არეულობას მოელიან და კაზაკთა ორი ასეული დაიბარეს. ქალაქის მოურავმა დეპეშით სთხოვა გუბერნატორს, კაზაკთა შენახვის ხარჯისაგან ქალაქი გაანთავისუფლეთო. ნოქრებისა და ხელოსნების მოძრაობა მექარხნეების უმრავლესობის ახირებას, უთანხმოებას, შესაძლოა, გაფიცვა მოჰყვეს.

ლონდონი. ლორდთა პალატაში ლანსდოუნმა განაცხადა, ინგლისის პროტესტმა რუსეთის გემების მოქმედების წინააღმდეგ უშედეგოდ არ ჩაიარა, რუსეთი დათანხმდა, რომ სურსათი და ზოგი სხვა საქონელი პირობითი კონტრაბანდაა. შარშანდელს აქეთ ინგლისის არც ერთი გემი რუსეთის კრეისერებს აღარ შეუჩერებიათო.

ბუდაპეშტი. პარლამენტის კომისიამ დეპუტატთა პალატას წარუდგინა ადრესის პროექტი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო განსაცდელშია და გამოცხადებულია მოთხოვნილება საარჩევნო უფლების გაფართოვებისა, ვენგრიის ეკონომიურ დამოუკიდებლობისა, დამოუნის განცალკევებისა, ნაციონალურ ენის დაცვისა და უნგრეთის ჯარში თავის დროშა-ნიშნების შემოღებისა.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად ნება დართო სახელოვან რ. ი. კონდრატენკოს სახსოვრად ხელის-მოწერა დაარსდეს ოფიცერთა შორის.

პეტერბურგი. შლოსბერგს ნებართვა მიეცა, გამოსცეს ვილნაში გაზეთი „ახალი ცისკარი“, ებრაელთა პირველი სპეციალური ორგანო.

ათინა. მეფემ იმპერატორი ვილჰელმი საბერძნეთის ფლოტის ადმირალად დანიშნა. კრიტოსის პარლამენტი 7 აპრილს შეიკრიბება.

პეტერბურგი. გზათა მინისტრი უცხადებს სახაზინო და კერძო გზების უფროსებს: გაფიცვა და ამავე დროს მოთხოვნილებათა განცხადება შესახებ მდგომარეობის გაუმჯობესებისა, სამსახურისა და მუშაობის წესის შეცვლისა, არამც თუ დისციპლინის დარღვევაა, არამედ ამ ომის დროს დიდი დანაშაულიც არის. შუამდგომლობანი მიღებულია მხოლოდ ერთხანად და იმ იმედით, რომ აღარ განმეორდებიან. ზოგი პეტიცია არ მიიღება საერთოდ, მაგალითად, მოსამსახურეთა დაარსების შესახებ საერთო არჩევით; რომელსაც მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა უნდა ექვემდებარებოდეს. სხვა პეტიციები საერთო მოწესრიგება და საპენსიო კასსის დაარსება, საკანონმდებლო განხილვას ითხოვენ. მისაღებია შუამდგომლობა შესახებ ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ხოლო ვერ დაკმაყოფილდება, რადგან ამით რკინის გზის ბიუჯეტი დაირღვევა და ხაზინას მეტი ხარჯი დააწვება. ამიტომ ამ ჟამად შეიძლება მხოლოდ მცირე ჯამაგირს მომატოს სატახტო ქალაქებს და დიდს ცენტრებში, სადაც საცხოვრებელი გაძვირდა რკინის გზის მომუშავეთათვის, რომელთაც მცირე ჯამაგირი ეძლევათ, შუამდგომლობაა აღძრული, რომ დამატებითის ხარჯთ-აღრიცხვით მცირე ხელფასიან მომუშავეთ ჯილდო მიემატოს იმ ადგილებში, სადაც სიძვირეა. ამასთანავე განკარგულება მოახდინა, რომ სასწრაფოდ შემზადდეს და საკანონმდებლო წესით გადაწყდეს: ა) საერთო დებულების პროექტი მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მათ უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრის შესახებ, თანახმად პეტიციებში აღნიშნულ ძირითად მოთხოვნილებისა; ბ) დისციპლინის წესების პროექტი; გ) მუშაობისა და მესვენების დებულების პროექტი და დ) ყველა ჩემ-მიერ ნაჩვენებ ღონისძიებათა, რომლებიც დამყარებულია მოსამსახურეთა მოთხოვნილებაზე და რომელთა დამტკიცება საკანონმდებლო წესით შეიძლება.

ლონდონი. ჩემბერლენმა 150 თავის მომხრე დეპუტატების კრებაზე რეზოლუცია განაცხადა, რომელიც სამინისტრომ უნდა მიიღოს. ჩემბერლენმა უარჰყო უმწვერვალესი პროტექციონისტობა საფინანსო პოლიტიკაში და ბალფურის ზომიერ საფინანსო პოლიტიკის მომხრეობა აღიარა. რეზოლუცია მიიღეს. სხვათ ჩემბერლენის მეთაურობით დეპუტაცია გაიგზავნება ბალფურთან, რომ ეს რეზოლუცია აუწყოს. ამ ამბავს დიდს მნიშვნელობას აძლევენ და დიდი შედეგიც მოჰყვებაო. უპირველესად პარლამენტი დათხოვნილ იქმნებაო.

სტამბოლი. გამოძიებით აღმოჩნდა, რომ ზაგორიჩანში 60 ბოლგარელი მოუკლავთ და 7 დაუჭრიათ, მათ შორის ქალები და ბავშვები, დაუწვავთ 10 სახლი. ამ ამბავმა დიდად აღელვა ზაგორიჩანის მიდამოების მცხოვრებნი.

პეტერბურგი. ბეჭდვითი საქმის საბჭო 31 მარტს იმ აზრს დაადგა, რომ მხატვრობას წიგნებში და ჟურნალ-გაზეთებში განსაკუთრებული ცენზურა არ უნდა და მოსპობილ იქმნას საცენზურო დებულების მე-82 მუხლი, რომელიც გუბერნატორს აძლევს ნებას, განიხილოს და ნება დართოს დასაბეჭდად საერო, სათავად-აზნაურო და სხვა საზოგადო დაწესებულებათა ანგარიშები.

პეტერბურგი, 1 აპრილი. ხელმწიფის მადლობა გამოეცხადა სამარა-ზლატოუსტის, ციმბირის, ზაბაიკალის და კრუგობაიკალის რკინის გზებისა და ბაიკალზე გადასაყვანის უფროს მოხელეებსა და მომუშავეთ იმ დიდის შრომის გამო, რომელიც მათ დაატყდათ ჯარის გადაყვანის დროს; ყველა მათგანის ღვაწლი დაფასებულ იქმნება ომის გათავების შემდეგ.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 15 მარტი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	$94,72\frac{1}{2}$
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,63
ბირჟის დისკონტი	$5\frac{1}{4}$—$6\frac{3}{4}$%
4% სახელმწიფო რენტა	$85\frac{1}{2}$
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	$385\frac{1}{2}$
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	305 „
5% გირ.-მომ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	270 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	— „
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. სახ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
$4\frac{1}{2}$% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	$216\frac{1}{4}$

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6) ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 08 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოდის მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე-წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. **წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.**

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე 3 მან., ნახევრის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კაპ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდრეს ქუჩ., № 5. სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი.
Тифлисъ, редакція журнала“ НАКАДУЛИ“.

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

---

*) მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი მოსკოველ მაჰმადიანთა მიერ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 1 апрѣля 1905 г
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.